


„ხარს გვევარ ნაილაღარს, რკით მიწასა ვჩხვერ, ვბუბუნებ.  
ღმერთო სამშობლო მიცოცხლე, მძინარეც ამას ვლულუნებ.“ (ვაჟა)

# თავისუფლება



საქართველოს ბანთავისუფლებისათვის მებრძოლთა ორბანო

გამოცემის პასუხისმგებელი: გიორგი წერეთელი.

**TAVISSOUPLEBISS TRIBOUNA**

Journal périodique en langue georgienne

825 / 09  
1983



№39      პ ა რ ი ზ ი      ი ა ნ ვ ა რ ი      1983      J A N V I E R      P A R I S      №39


გ ა მ ო ც ე მ ი ს   მ ე ა თ ე   წ ე ლ ი

გ ი ლ ო ც ა ვ ე თ   ს ა მ შ ო ბ ლ ო ს   გ ა ნ თ ა ვ ი ს უ ფ ლ ე ბ ი ს   ა ხ ა ლ   წ ე ლ ს

## შ ი ნ ა ა რ ს ი

- .2      საახალწლო სურვილები და ფიქრები.  
ბრევენევის სიკვდილი; სსრკ-ს ახალი ხაზიანი-ანდროპოვი;  
ყველა გზა, ბულგარეთზე გავლით, კრემლში მიდის      თ.ტ.
- .8      „ლენინური ეროვნული პოლიტიკის“ შედეგებზე      აბდურახმან ავტორხანოვ
- .14      როგორ იწყება ანდროპოვის ერა?      პაპუნა ლუბაშვილი
- .15      პარიზის ტრიბუნალი ავღანეთის შესახებ      ზურაბ ნარსია
- .16      ზოგი რამ „შერთებაზე“ რუსეთთან საქართ-სი      ჯანრი კაშია
- .19      კაცებეს თარეში თბილისის უნივერსიტეტში      გულბათ გულბათიშვილი
- .22      ქართული სემინარის მესამედ ჩაშლა ბერგამოში.      დავით თაბორიძე
- .23      სიკვდილით დასჯის ფაქტები საქართველოში.      გრიგოლ წერეთელი
- .24      საპროტესტო მანიფესტაციები პარიზში.      მამულს განშორებულნი
- .26      სამკლოვიარო განცხადებები და ნეკროლოგები.  
ძვირფას მეგობრის ხსოვნას      იროლონ ბეგიაშვილი  
ქალბატონ რეი ზურაბიშვილის ხსოვნას      ეთერი შენგელია  
სიტყვა წარმოთქმული მიხეილ ქავთარაძის მიერ  
მამა-შვილი მიხეილ და დიკა კელიას დასაფლავების დროს.
- .28      ჩვენი ფონდი, ჩვენი ბალანსი. სხვა ამბები მოკლედ.

ს ა ა ხ ა ლ წ ლ ო ს უ რ ვ ი ლ ე ბ ი და ფ ი ქ რ ე ბ ი



უამთა კრილოსანზე კიდევ ერთი მძივი ჩამოვარდა. გასრულდა 1982 წელი და იწყება 1983. ჩვენ ერთი წელი მოგვემატა, ერთი წლით დავუახლოვდით ამქვეყნიური ცხოვრების ზღურბლს. პარადოქსალურია, მაგრამ ეს ამბავი ჩვენ არ გვაღონებს. პარადოქსალურია, მაგრამ ეს ამბავი ჩვენ არ გვაღონებს. წაბრუნდა და ახალის მოზრძანებას სიხარულით ვეგებებით. რაშია საქმე? რატომ ვიქცევით ასე? ალბათ იმიტომ, რომ დროის ახალი მონაკვეთი, რომელშიც ჩვენ პირველ ნაბიჯებს ვდგავთ, უცნობია ჩვენთვის, ის ჩვენთვის საიდუმლოებებითაა მოცული და ამიტომ ის ჩვენში იწვევს ჩვენი დაუტყდაფილებელი სურვილების განხორციელების იმედს. როცა თაკარა მზით შეწუხებული და უსაშველო წყურვილით შეპყრობილი მგზავრი, მისთვის უცნობ უდაბნოში წინ მიიწვევს, ის იმედოვნებს, რომ მიადწვევს ოაზისამდე, სადაც ვაგრილდება და წყურვილის მოიკლავს. ასევე რადიკის დაუტყდაფილებელი წყურვილითაა შეპყრობილი ყოველი ადამიანი და ეს წუთისოფელიც უცნობ უდაბნოსა ჰგავს: ზოგს ჯანის სიმართლე სწყურია, ზოგს სიმდიდრე, ზოგს სახელი და პატივი და ასე შემდეგ. ვინ ჩამოთვლის ადამიანთა სულის დაუტყდაფილებელ წყურვილთა მთელ სამყაროს. კერძო; პირად წყურვილითან ერთად ჩვენს ქართველებს ერთი საერთო და დაუოკებელი წყურვილიცა გვაქვს, წყურვილი ჩვენი პყრობილი სამშობლოს განთავისუფლებისა. მოვიგოსათვა, ჩვენო ძვირფასო მკითხველებო, ამ ახალ-1983-წელს, დე, მან თქვენ მოგიტანოს როგორც კერძო, როგორც, მისედალი, ისე საერთო, ეროვნული წყურვილის დაკმაყოფილება. დიდება ასეთი ახალი წლის მოზრძანებას!

მაგრამ გავიხსენოთ იგავი: კაცი წყალს მიჰქონდა, იხრჩობოდა, ღმერთს ევედრებოდა: ღმერთო მიშველო! ღმერთმა ჩამოსძახა: ხელი გაანძრე და გიშველიო. დიახ, მხოლოდ ვედრება არ კმარა ჩვენი ეროვნული წყურვილის დასაკმაყოფილებლად, საქირია, როგორც იგავი აამბობს, „ხელები გავანძრიოთ“ ყველა ქართველმა ერთად და შეწყობილად, რათა ჩვენი ეროვნული ნავი ბოზოქარ ტალღებს გამოვტაცოთ და საიდუმლო ნავთსაუღელში მივიყვანოთ. ახალი წელი რომ ბედნიერი გამოდგეს ჩვენი სამშობლოსათვის, საქირია მისი შვილების ერთობა. ერთობა, არა საქვიფოდ და დროსსატარებლად, არამედ ოფლისა და სისხლის საღვრელად.

ახალ წელს ვეგებებით საერთაშორისო მდგომარეობის უვიდურეს დაძაბულობის ვითარებაში. მსოფლიო პოლიტიკის ორაკულტბო ერთხმად წინასწარმეტყველებენ ბირთვული ომის და მით გამოწვეული საკაცობრიო კატასტროფის შესაძლებლობას და, რომ 1983 წელი ამ მხრით შეიძლება საბედისწერო გამოდგეს.

ჩვენ აქ არ შევედგებით იმის დაწვრილებით განხილვას თუ როგორ, რატომ, რანაირად აღმოჩნდა კაცობრიობა ასეთი საშინელი საფრთხის წინაშე, ვავიშორებთ მხოლოდ საყოველთაოდ აღიარებულ და ცნობილ ფაქტს: ამერიკის შ. შტატებმა და საბჭოთა კავშირმა მათი სამხედრო არსენალები აავსეს იმდენი ბირთვული იარაღით, რომ მათ შეუძლიათ ათჯერ მოსპონ ყოველი სახის სიცოცხლე მთელს დედამიწის ზურგზე. ეს შეიარაღება გამალებით გრძელდება, ის თანდათან უფრო სრულყოფილი ხდება სიშორის, მიზნის სიზუსტის და გამანადგურებელი სიმძლავრის მხრით. ეს აპოკალიპსური იარაღი ორივე მტრულ ბანაკში ისეა მომარტული, რომ ის ამოქმედდეს დროს დაუკარგავად, ავტომატურად როგორც კი მოწინააღმდეგის მხრიდან ატმოსფეროში საექვო სავანს შენიშნავენ მზვევრები აპარატები. აღმოიჩინა მიერ დამზადებული მანქანა რავინდ სრულყოფილი არ იყოს, შეიძლება მოიშალოს, ამიტომ გამოირცხული არ არის შემთხვევა, რომ, მცდარი ცნობების შედეგად, წინასწარი განზრახვის გარეშე, უნებურად დაიწყოს ბირთვული ომი.

მსოფლიოს არც ერთი კუთხე არ არის დაზღვეული ამ საზარელი ომისაგან, მაგრამ, რა თქმა უნდა, ყველაზე დიდი საფრთხის წინაშე დგანან თვით ურთიერთ დაპირისპირებულ ბლოკების ქვეყნები: ერთი მხრით საბჭოთა კავშირი, თავისი სატელიტ კომუნისტურ ქვეყნებით და მეორე მხრით ჩრდილოეთ ამერიკა, მისი დასავლეთ ევროპის მოკავშირე ქვეყნებით. ამ ქვეყნებში ყოველი სამხედრო-სტრატეგიული ობიექტი მოწინააღმდეგისაგან მიზანშეწონილი და მხოლოდ პატარა დილაკზე თითის დაქერა კმარა, რომ იგის დედამიწის პირიდან აღიგავოს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი ჩვენი დაკვირვებით მიღებული შთაბეჭდილება: ამერიკა პი-

რველი ომს არ აუტეხავს საბჭოთა კავშირს, არა იმდენად იმის გამო, რომ მის მთებრობას ეს არ სურს, არამედ უფრო იმის გამო, რომ ამერიკის თავისუფალი ხალხის საზოგადოებრივი აზრი და დემოკრატიული წესწყობილება ამას არ დაუშვებს, მაშინ როცა საბჭოთა მთავრობას, რომელსაც სახალხო კონტროლი არ ჰყავს და, რომელიც თვითონ ქმნის მის მორჩილებაში მყოფ ხალხთა საზოგადოებრივ აზრს, შეუძლია ნებისმიერ დროს ამ ქვეყნებზე ის კუთხეში დაანთოს ომის ცეცხლი და მოწინააღმდეგეებს გადააბრალოს. სწორედ ეს უკანასკნელია ჩვენი განსაკუთრებული კმუნვის მიზეზი. განვმარტოთ:

20 წელია საბჭოთა კავშირის დიპლომატიას და პროპაგანდას განგაში აქვს ატეხილი ევროპაში ომის შესაძლებლობის თაობაზე. დაეინტელი და დაუღალავი მოქმედებით, ბრენევიცის დიპლომატიამ კიდევაც მიადღწია თავის მიზანს: 1975 წლის პირველ აგვისტოს დასავლეთ ევროპასა და ჩრდილოეთ ამერიკას ხელი მოაწერია „ევროპის უშიშროების და თანამშრომლობის“ ხელშეკრულებაზე. ამას მისთვის ხელი არ შეუშლია შიგნით ოპოზიციისათვის ხმა ჩაემინდა, ეწარმოებია გამაღებელი შეიარაღება, ისე, რომ დღეს მისი შემტევი ტექნიკა: ტანკები და ავიაცია, რიცხობრივად ორჯერ სჭარბობს ამერიკა-ოტანისას და დასავლეთ ევროპის ქვეყნებისთვის დაემიზნება ახალი ტიპის ძლიერი ბირთვული იარაღები, რათა მათ თავდაცვისა და წინააღმდეგობის ნებისყოფა მოუკლას.

მას შემდეგ, რაც ამერიკის მთავრობამ, მოკავშირე მთავრობებთან შეთანხმებით, მიიღო გადაწყვეტილება გააძლიეროს თავისი შეიარაღება ისე, რომ საბჭოთა მთავრობამ ვეღარ შეძლოს მისი ავანტიურისტული მსოფლიოზე გაბატონების პოლიტიკის სამხედრო მუქარით განხორციელება (სხვათა შორის, ამ გადაწყვეტილებას საბჭოთა პროპაგანდა დღეს პრეზიდენტ რეიგანსა და მის მთავრობას აბრალებს. სინამდვილეში ეს მოხდა უკვე აკტერის სტრუქტურის ტიპის დროს, ირანის ამბების და განსაკუთრებით საბჭოთა ჯარების ევლანისტანში შეჭრის შემდეგ), კრემლმა ისევ ასტეხა განგაში, რა თქმა უნდა, მიღწეული სამხედრო უპირატესობის შენარჩუნების მიზნით, მაგრამ, ჩვენ გვეონია, ევროპაში ომის დაწყების შესაძლებლობის აღკვეთის მიზნითაც. ასეთი შთაბეჭდილებიდან გამომდინარე, ევროპაში ბევრი ტყუილება და ფიქრობს, რომ საბჭოთა კავშირის მართლაც არ აქვს აგრესიული ზრახვები დასავლეთ ევროპის მიმართ, რა დღემდე შემდეგარა და დამრუველი. ოქტომბრის გადატრიალების პირველ დღეებიდან მოყოლებული, ლენინიდან ანდროპოვამდე, საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი მიზანი იყო და არის „მსოფლიო პროლეტარული რევოლუციის“, ანუ, რაც იგივეა მათთვის, „მსოფლიო საბჭოების“ განხორციელება ყოველი საშუალებებით. საბჭოების ამ მსოფლიო „გასაბჭოების“ სტრატეგიაში დასავლეთ ევროპის „გასაბჭოება“ მუდამ იყო და არის მიჩნეული გადაამწყვეტად. თუ მათ დასავლეთ ევროპის წინააღმდეგ ფრანტალური ომი არ არ სურთ, ეს მხოლოდ იმის გამო, რომ ის დიდ რისკს წარმოადგენს თვით კრემლისათვის და ამავე დროს, კრემლის ანგარიშში არ შედის მოწინავე ტექნიკის ევროპის დანგრევა-განადგურება, რასაც უუკველად გამოიწვევდა მასზე გადაბირი შეტევა. ამიტომ რუსებს გადაწყვეტილი აქვთ ევროპას უკანინად შემოუარონ, გადაუტან ყველა სააღებ-მიცემო მსოფლიო გზები, გამოიწვიონ გაუფონარი კრიზისი, რასაც მოყვება წინააღმდეგობის მორალის მოშლა... ბოლოს კი „გამსაბჭოებელთა“ როლს ითამაშებენ კომუნისტური პარტიები. დასავლეთ ევროპის გარემოცვა საბჭოებმა დიდი ხანია რაც დაიწყეს ისე, რომ საერთაშორისო ომისთვის არ მიემართათ, რაც ყოველთვის წარმატებით არ გვირგვინდება და ძალიან დიდ ხარჯებსაც მოითხოვს, მაგრამ ესაა მოსამზადებელი საქმიანობა, რომელსაც უუკველად მოწყვება აშკარა სამხედრო ოპერაციების დაწყება. საიდან შეიძლება რომ საბჭოებმა დაიწყონ ომი ევროპის გარემოცვისათვის? ამის გასათვალისწინებლად საჭიროა თვალის გადავადვლთ მსოფლიო რუქაზე საბჭოთა კავშირის სამხრეთ და სამხრეთ-დასავლეთ საზღვრებს და გავითვალისწინოთ საბჭოების მოქმედება ამ საზღვრების მიღმა ქვეყნების მიმართ. ამ მხარეში კრემლის პროპაგანდის საყვირები ნაკლებად განგაშობენ მოსალოდნელი ბირთვული ომის საშიშროებაზე, სამაგიეროდ მისი ფარული დამანგრეველი ძალბა მუდომებით ძირს უთხრიან ყველაფერს, რამაც მათ შეიძლება წინააღმდეგობა გაუწიოთ, აწყობენ და აძლიერებენ სიბედლო დასაყრდენ სამხედრო ბაზებს. თურქეთში საბჭოების ძირგამომთხრელობა საკმაოდ შორს იყო წასული, როცა მხედრებმა ხელში აიღეს ძალაუფლება და ანარქიულ ტერორთან ერთად დემოკრატიაცა და თავისუფლება აღაგმეს. ირანთან შაჰი და ამერიკელები გააძევეს, რაც პატარა საქმე არ არის, მაგრამ „გასაბჭოებით“ კი ჯერ ვერ „გაუსაბ-

ქობიათ. ავღანეთის „გასაბჭოება“ შეძლეს, მაგრამ იქაც მარცხდებოდნენ და იძულებული გახდნენ ასათასიან არმიით შექარილიყვენ, რომ არ დაეკარგათ. საბჭოთა ძირგამრმობრელი საქმიანობა მარცხით გათავდა ევგებტემში, სულანში და სომალში, საზაფიეროდ სირიაში, იმერში, ეთიოპიაში და ლიბიაში მტკიცედ არიან ფეხმოკიდებული, შექმნილი აქვთ და აძლიერებენ დასაყრდენ სამხედრო საზღვაო და საჰაერო ბაზებს. ლიბიანის „გასაბჭოებასაც“ იმედოვნებდნენ პალესტინელებისა და სირიელების შემწეობით, მაგრამ ისრაელმა თავისი გაბედული სამხედრო ოპერაციით, მათი გეგმები ჯერ-ჯერობით შეაფუჭა. საერთოდ, ისრაელი ის მთავარი ცხე-სიმაღარაა, რომელიც საბჭოების ხელყოფისაგან იცავს მთელ ახლო-აღმოსავლეთს და ამავდ დროს ხელს უშლის საბჭოების გეგმებს დასავლეთ ევროპის გარემოცვისას. ევროპაში ბევრი არ მეტულება, რომლებსაც ესმოდეთ ისრაელის სახელმწიფოს ეს როლი და დამსახურება.

ამ პატარა წერილში შეუძლებელია ყველა ფაქტორების დაწვრილებით ჩამოთვლა და აღწერა, მაგრამ ვფიარობთ ეს სქემატიური სურათიც საკმარისია დავასვენათ, რომ კრემლს განზრახული აქვს ზურგიდან შემოიჭროს ევროპას. წარსულში და ამჟამად ის აწარმოებს ჩუმ მოსამზადებელ საქმიანობას, როცა ის მას დამაკმაყოფილებლად ჩათვლის და საერთაშორისო მდგომარეობის მისთვის ხელსაყრელ დროსაც შეარჩევს, კრემლი წითელ არმიას მიცემს ბრძანებას დაიწყოს ომი დასავლეთ ევროპის გარემოცვისა. მაშინ წითელი არმიის სახმელეთო, საჰაერო და საზღვაო ძალები უარერსად თავმოყრილი იქნება კავკასიაში, საიდანაც ელვისებურად გამოიჭრილა ჯავშნოსანმა და მოტორიზებუმა დივიზიებმა უნდა გადაქცონ თურქეთი და ირანი და დროს დაუეკარგავდ; ერთ და იმავე დროს გაიჭრან ომანის ზღვისა და ხმელთაშუა ზღვის სანაპიროებზე.

შეიძლება ომის ეს ვარიანტი მომხიბლავად ეჩვენებოდეთ კრემლში, მაგრამ ჩვენი ქვეყნისათვის და მთელი ამიერკავკასიისათვის ეს იქნება უდიდესი კატასტროფა, რადგანაც მოწინააღმდეგის მთარსარდლობის წინაშე იმ წამსვე დაისმება საიოთხი საბჭოთა ჯარების მოწინავე საოპერაციო ბაზების აფეთქებისა. ათი თანამედროვე ბირთვული ბომბიც არაა საჭირო, რომ მთელი ამიერკავკასია ნაცარ-ტუტად იქცეს და მისი ბინადარნი სპექტრებად. შემზარავია ამაზე ლაპარაკი, მაგრამ არც ის შეიძლება: თვალები დახვუჭოთ, ყურები დავიცოთ, გონება დავიჩლუნგოთ და პირუტყვებივით ველოდოთ არა ერთი, ათი, ან ათასი ჩვენი თანამემამულის, არამედ მთელი ქართული ჯიშის გაქრობას. პირიქით, საჭიროა ფიქრი, საჭიროა გზებისა და საშუალებების ძიება, რათა ამ საბედისწერო მუქარისაგან თავი დავაღწიოთ.

ჩვენი ფიქრით, ამ საბედისწერო მუქარიდან ეროვნული ხსნის ერთადერთი უტყუარი გზა არსებობს, რომელზეც მიყვავართ შემდეგი ფაქტის დადგენას: სანამ რუსეთში არსებობს ტოტალიტარული რეჟიმი, რომლის მიზანია მსოფლიოზე გაბატონება, ახალი მსოფლიო ომი, ყველა თავისი საშინელებით, გარდუვალაია. ეს გზაა, საბჭოთა კავშირიდან ჩვენი ქვეყნის გამოყოფა და მიუშრობელ ქვეყნად გამოცხადება, როგორც, მაგალითად, ევროპაში შვეიცია და შვეიცარიაა, ანდა ისეთი სტატუსი მიანიც, როგორიც აქვთ ფინლიანდიას ან ავსტრიას.

რა თქმა უნდა: კრემლი ადვილად არ აიღებს ხელს თავის ბატონობაზე, ამ მიზნის მისაღწევად მსხვერპლიც იქნება, მაგრამ ის ნაკლები იქნება თუნდაც ერთი ბომბისაგან გამოწვეულ მსხვერპლზე.

ამ გზით მავალ სახალხო მოძრაობას ვერ გამოეთიშებიან საქართველოში მცხოვრები ვერც სხვა ხალხები და ვერც ქართველი კომუნისტები, იმ უბრალო მოსაზრებით, რომ ბირთვული კატასტროფის შემთხვევაში ისინიც საქართველოსთან ერთად იღუპებიან. კავკასიის გეოგრაფიულ-სტრატეგიული ერთობა კი იმის სასარგებლოდ მეტყველებს, რომ კავკასიის მკვიდრ ერებს რაგინდ განსხვავებული ეროვნული ინტერესები არ არ ჰქონდეთ სხვა საკითხებში, ამ ჩვენთვის და მათთვის ერგვარად საბედისწერო საკითხში, შეუძლებელია ისინი ჩვენი თანამგრძობი და თანამდგომი არ იყვნენ.

ასეთია ჩვენი მწარე და საჭიროროტო სახალწლო ფიქრები, რომელთა თქვენთვის გაზიარება, ძვირფასო მკითხველნო, დიდი ჭოქმანის შემდეგ ჩვენ გადავწყვიტეთ.

## ბ რ ე ე ნ ე ე ს ს ი კ ე დ ი ო

ბრეჟნევის სიკვდილმა შეიძლება არავითარი ცვლილება არ გამოიწვიოს საბჭოთა სახელმწიფოს არც საშინაო და არც საგარეო პოლიტიკაში, მაგრამ მართო ის ფაქტი, რომ ბრეჟნევი ამ სახელმწიფოს მეთაურობდა უკანასკნელი 19 წლის განმავლობაში, მისი სიკვდილის ამბავს ანიჭებს პირველხარისხიან მსოფლიო მნიშვნელობას. მხოლოდ ის ამბავიც, რომ მის დასაფლავებას დაესწრენ და მისი ცხედრის წინაშე თავი დახარეს მსოფლიოს უმძლავრეს სახელმწიფოთა სამოცდაათზე მეტმა წარმომადგენლებმა უმაღლეს დონეზე, ბევრის მეტყველება და პირველ რიგში მიგვითითებს იმ დიდ ადგილზე, რომელიც საბჭოთა კავშირის უკავია მსოფლიო არენაზე.

საჭიროა აღინიშნოს ისიც: თუ ხელისუფლებამ ბრეჟნევის გრანდიოზული დასაფლავება მოუწყო, სამაგიეროდ საბჭოთა და მსოფლიოს ხალხები, მათ შორის რუსის ხალხიც, მის სიკვდილის ამბავს გულცივად შეხვდნენ: განსხვავებით ლენინისა და სტალინის გარდაცვალების ცნობასთან, რომელთა დროსაც ადგილი ჰქონდა საჯარო ისტერიებს, გამოწვეულთ, როგორც მწუხარებისაგან, ისე ხასიათისაგან.

ჩვენ არც სურვილი და არც ადგილი გვაქვს დაწვრილებით განვიხილოთ ბრეჟნევის ცხოვრებისა და მოღვაწეობის ყოველი დეტალი, არამედ აღვნიშნავთ იმ ზოგიერთ ფაქტებს, რომლებიც ჩვენ ყველაზე მნიშვნელოვნად და დამახასიათებლად მიგვჩინია კაცისათვის, რომელიც დღეიდან ისტორიას ეკუთვნის.

ლეონიდ ილიჩ ბრეჟნევი კულტურის საბჭოთა საზოგადოების იმ თაობას, რომელიც პოლიტიკურ ასპარეზზე გამოდის სტალინის კულტის მძვინვარების დროს, კომპარტიის ლენინური გვარდიის განადგურების შემდეგ. ეს თაობა ხასიათდება ცბიერებით, მლიქვნელობით, გაუტანლობით, ინტრიგანობით. ნიჭი, მორალი და იდეალი მათთვის აღარ წარმოადგენს სახელმწიფო მოღვაწის ძირითად და აუცილებელ თვისებებს.

ბრეჟნევი ხელისუფლების სათავეში მოექცა ნიჭითა ხრუმჩოვის წინააღმდეგ მოწყობილ შეთქმულების შედეგად, იმ ხრუმჩოვის წინააღმდეგ, რომელმაც ის დააწინაურა და კრემლის სენაკლში შეიყვანა. შეთქმულება წინ წამოაყენეს ტროიკა: ბრეჟნევი, კოსიგინი, პოდგორნი, რომლებიც საჯაროდ ქადაგებდნენ მმართველობის კოლეგიალურ პრინციპს, მაგრამ ნელნელა ბრეჟნევიმ კოსიგინი მოსამსახურედ გაიხადა, ხოლო პოდგორნი სრულიად გააძევა ხელისუფლებიდან და მისი თანამდებობაც—უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეობა—მოისაკუთრა და იქცა მოსკოვის საბჭოთა იმპერიის ერთპიროვნული მმართველი, ის რაც ამ იმპერიამ მიაღწია ბრეჟნევის გამგებლობაში უგულვებელსაყოფი არ არის, პირიქით დიდი და შთამბეჭდავია ბრეჟნევის და მისი აპარატის დიდი დიპლომატიური გამარჯვება იყო „ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის“ ხელშეკრულება, ხელმოწერილი ფინლანდიის დედაქალაქში, 1975 წლის 1 აგვისტოს, რომლის მიხედვითაც დასავლეთ ევროპის და ჩრდილო-ამერიკის სახელმწიფოებმა იცნეს მეორე მსოფლიო ომის შედეგად შემოფარგლური საბჭოთა იმპერიის საზღვრები და აღიარეს მისი ხელშეუხებლობა.

თუმცა საბჭოთა ექსპანსიამ მარცხი განიცადას ევკავშირში, სულდანში, სომალში და ჩადში, სამაგიეროდ მას წარმატება აქვს სირიაში, ერაყში, ლიბიაში და განსაკუთრებით იემენში და ეთიოპიაში, ანგოლაში და მოზამბიკაში. ბრეჟნევის საბჭოები არ დაკმაყოფილდნენ საფრანგეთის ყოფილ ინდოჩინეთიდან ამერიკელების გაძევებით, შეუტრეს მათსავე ნახევარსფეროში, კუბის შემდეგ ნიკარაგუაც „გაასაბჭოეს“ და პარტიზანული ომის ცეცხლი შეუტეტეს ცენტრალური ამერიკის ყველა სხვა პატარა რესპუბლიკებს.

რაც მთავარია, ბრეჟნევიმ შეძლო დასავლეთის მესვეურთა სიხშირის მოდუნება, საბჭოების ამ უსაშველო ექსპანსიას ის ანხორციელებდა ყბადაღებულ „დეტანტის“ პოლიტიკის ნიშნის ქვეშ, რომლის დროსაც დასავლეთი მას უხსნიდა იაფფასიან კრედიტებს, რითაც თითქმის მუქთად იძენდა მოწინავე ტექნიკას, ხორბალსა და სხვა პროდუქტებს. დასავლეთის უფუნური ხელგაშლილობის და საკუთარი ქვეშევრდომების უსაშველო ყველის წყალობით ბრეჟნევიმ შეძლო საბჭოთა კავშირის უმძლავრეს სამხედრო სახელმწიფოდ გახდომა მსოფლიოში და ამას ალბათ განსაკუთრებით დაუმაღლებენ მისი პოლიტიკური მემკვიდრეები.

სამაგიეროდ, ბრეჟნევის პოლიტიკამ მარცხი განიცადა საშინაო ხაზით. მან ვერ შეძ-

ლო საბჭოთა დაავადებულ ეკონომიკისათვის წამალი გამოენახა, ვერ გააუმჯობესა მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა. მის დროს კიდევ უფრო გაძლერდა საბჭოთა სახელმწიფოს და მმართველი პარტიული აპარატის მორალური გახრწნა: ქურდობა, მეჭობათაობა, თანამდებობებით ვაჭრობა, საკუთალაცია, უპასუხისმგებლობა, ყოვლოჩინობა, ბიუროკრატობა და სხვა მანკიერებანი მოედვა მთელ ქვეყანას, თვით უმაღლეს სემინისტროვამდე.

ბრუშჩოვის პარტიობის დროს, როცა სტალინის კულტს ემბროდენ, შეიქმნა ილუზია თავისუფლების აღორძინებისა, ბრეჟნევიმ მიიმე-მიმედ, მაგრამ საბოლოოდ წაასწავა ეს იმედები, ხელახლად ლაგამი ამოსდო საბჭოთა მოქალაქეებს. ვინც არ დაემორჩილა, ზოგი საზღვარგარეთ გამოაძევა, დანარჩენი კი ციხეებში, საკატორლო ბანაკებში და ფსიქიატრულ სააბატიროებში გამოამწყვდია და ეს ისე, რომ არც სტალინის სახელს სწყალობდა, რაც შეიძლება აიხსნას მისი გადაჭარბებული პატრიმპყვარეობით: ლეონიდ ილიჩი პირდაპირი მემკვიდრე უნდა ყოფილიყო ვლადიმერი ილიჩის.

და ბოლოს, ბრეჟნევის ზეობის წლებთან არის დაკავშირებული საბჭოთა კავშირის არარტს ხალხების საეკლდებულო რუსიფიკაციის გაძლიერება. პირველი კლასიდან რუსული ენის სწავლება, მშობლიურ ენის ხარჯზე, მშობლიურ ენაზე სამეცნიერო ხარისხის დაცვის პრაქტიკულად შეუძლებლობა, საშუალო და უმაღლეს სასწავლებლებში რუსული ენაზე გადასვლის ცდები, მშობლიური ისტორიის შეკვეცა, არარაობამდე დაყვანა დიქციო და გრძელდებოდა ბრეჟნევის ბრძანებლობის პერიოდში, ამიტომ ქართველი პატრიოტები მის სიკვდილს არ ილოვებენ, მაგრამ... მაგარი ისაა, რომ საბჭოთა რეჟიმისად უკეთეს მემკვიდრესაც არ მოეღიანა.

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

ს. ს. რ. კ. ახალი ხაზენი - ანდროპოვი

პირველად საბჭოთა ისტორიაში, კრემლის მმართველი უსახო ეკიბაეი საათითვე მომართული წარდგა მსოფლიო საზოგადოების წინაშე და მას გარდაცვლილი დიქტატორის პოსტზე როგორც კომპარტიის ე. კომიტეტის გენერალური მდივანი წარუდგინეს იური ანდრევიჩი ანდროპოვი. თითქოს ყველაფერი რივიანად და წესრიგით ჩატარდა. ეს არც ვასაკვირველი იყო, რადგანაც უკვე მაისის თვიდან, როცა ანდროპოვი სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარეობიდან ცენტრალური კომიტეტის მდივანად გადაიყვანეს, ცხადი იყო, რომ მას ჩუმად ამ თანამდებობისათვის ამზადებდნენ. მიუხედავად ამ მოჩვენებითი სიმწყობისა, კრემლის სათის თითქოს სადღაც სილის მარცვალი გაჩხეროდეს, ტიქტაკის მაგივრად ხრიალი გვესმის. ჩვენ აქ მხედველობაში გვაქვს ის ფაქტი, რომ დღემდე კრემლში ვერ შეთანხმებულან თუ ვინ დაიკავოს ბრეჟნევის მეორე პოსტი-სსრკ უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარეობა. როგორც ჩანს საბჭოთა მმართველები შეთანხმებული არიან ანდროპოვი იყოს თანასწორთა შორის პირველი; მაგრამ არა ყოვლის შემდეგ ავტოკრატი. საბჭოთა რეჟიმის პრაქტიკიდან ვიცით, რომ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარეობა არ წარმოადგენდა დიდმნიშვნელოვან პოლიტიკურ თანამდებობას, მაგრამ მას შემდეგ, რაც კომპარტიის გენერალურმა მდივანმა ეს თანამდებობა დაიკავა, მას მიენიჭა საბჭოთა სახელმწიფოს მეთაურის მნიშვნელობა. საბჭოთა წყობილების ასეთი მიმართება კიდევაც აირეკლა ბრეჟნევის „კონსტიტუციაში“ და პრაქტიკულადაც ტარდებოდა პროპაგანდა საბჭოების ავტორიტეტის გაზრდის სასარგებლოდ, მაგრამ, როგორც დღეს ვხედავთ, ამ საკითხში სერიოზული უთანხმოება კრემლის მმართველთა შორის. ორ თვეზე მეტია, რაც ეს სავარძელი ცარიელია, რაც მოწმობს არა უმნიშვნელო, არამედ სერიოზულ უთანხმოებას და თვით ვაფთრებულ ბრძოლასაც.

საბჭოების ლოზუნგია: კადრები წყვეტენ ყველაფერს. უბრალო ენაზე ეს ნიშნავს სანდო და სიმძელი ადამიანების დაყენებას ხელისუფლების საპასუხისმგებლო პოსტებზე, ამ მხრით ანდროპოვს აქვს პირველი წარმატებები. მან დააწინაურა აზერბაიჯანელი ყოფილი კავებისტი ალიევი, გახადა ის პოლიტიბუროს სრულუფლებიან წევრად და მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის პირველ მოადგილედ. კავებეს გენერალი ფედორჩუკი, რომელიც ადრე უკრაინის პოლიციას განაგებდა და, რომელმაც ანდროპოვი შეცვალა სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარის პოსტზე, გადაყვანილია შინაგან საქმეთა მინისტრად, ხოლო ამ უკანასკნელის ადგილას, სახ. უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარედ-ანდროპოვის ყო-



უკვე დადგენილი ფაქტები ადასტურებენ, რომ თურქმა ტერორისტმა ალი აგჯამი, რომელმაც პოლონელ პაპს ესროლა და მიმედ დასკრა, თურქეთის საპატიმროდან გაქცევის შემდეგ რამდენიმე თვე გაატარა ბულგარეთში, აქ მიიღო სამი მილიონი გერმანული მარკა პაპის მკვლელობის გასამრჯელოდ და იტალიაში ჩასვლის შემდეგ, სანამ თავის ბოროტგანზრახვის შეასრულებდა, მას მფარველობდნ და ეხმარებოდნ ბულგარეთის დაზვერვის აგენტები ანტონოვი, აივაზოვი და მაიორი ვასილიევი.

ბულგარეთის საიდუმლო სამსახურის ყოფილი პასუხისმგებელმა მოხელემ, პოლკოვნიკმა სვეტლოვმა, რომელიც სამი წლის წინად დასავლეთში გამოიქცა და ამჟამად დასავლეთ გერმანიაში ცხოვრობს, ფარგული გახუთის „ლიბერასიონის“ კითხვებს შემდეგი პასუხი გასცა: 1) ერთი წუთითაც ეჭვი არ მეპარება ბულგარეთის საიდუმლო სამსახურის როლზე პაპის მკვლელობის ცდაში. 2) ბულგარეთის საიდუმლო პოლიციის თვითოეულ დეპარტამენტში იმყოფება კვბ-ს რუს ოფიცერთა ჯგუფი, რომლებიც ვითომც მრჩეველები არიან, მაგრამ სინამდვილეში ისინი განაგებენ ბულგარელებს. მათ ყველას ერთი უფროსი ყავთ, რომელსაც უშუალოდ კავშირი აქვს კრემლთან. 3) მე ვფიქრობ, რომ ანდროპოვს მხოლოდ მას შემდეგ შეეძლო შედგომოდა ამ ოპერაციას, როცა ბრევენევი პირადად მიიღებდა ამ გადაწყვეტილებას.

გარდა პაპის მკვლელობის ცდის დანაშაულისა, იტალიის პოლიციას აქვს უეჭველი საბუთები ბულგარეთის საელჩოს ძირგამომხრებელ საქმიანობაზე იტალიაში. ბულგარეთის საელჩოს მოხელეებს კავშირი ჰქონდათ „წითელ ბრიგადებთან“ ცნობილ იტალიელ ტერორისტულ ჯგუფებთან საერთოდ და კერძოდ ამერიკელ გენერალ დოზიეს მოტაცების საქმეში. ასევე უეჭველია, რომ იმ უზარმაზარი სამხედრო იარაღისა და ოპიუმის ტრაფიკის, რომელიც უკანასკნელი ათეული წლის განმავლობაში ფართულად წარმოებს იტალიასა და თურქეთს შორის, ცენტრია ბულგარეთი, სადაც გადის დასავლეთში ფართულად შექმნილი იარაღი და თურქეთში მიმავალი, ხოლო, პირიქით, თურქეთიდან მიმავალი მომწამვლე ნივთიერებანი დასავლეთის მიმართულებით. ქ. სოფიაში თავისუფლად და ფუფუნებაში ცხოვრობენ თურქი ტერორისტებისა და მათის კადები. ერთი მათგანი, ბეშირ სელენკი, რომელსაც სწორედ ბრალდება ზემოდ ნათქვამი სამი მილიონი მარკის გადაცემა ალი აგჯამისადმი პაპის მოსაკლავად, ახლახან დააპატიმრა ბულგარეთის პოლიციამ, ალბათ იმ მიზნით, რომ უკვე დამალოს პაპის მკვლელობის შეთქმულების სათავეები.

შესაძლებელია, ეს უაღრესად სერიოზული საერთაშორისო საქმე, რომელიც ომის გამოცხადებას მოასწავებს, ოფიციალურად არ გამომჟღავნდეს, მაგრამ რაც უკვე ცნობილია საკმარისია იმისათვის, რომ დასავლეთის პოლიტიკურმა წინამძღოლებმა იცოდნენ, თუ რა მეთოდებს მიმართავს კრემლი საერთაშორისო ურთიერთობაში.

თ. ტ.

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

„ლენინური ეროვნული პოლიტიკის“ შედეგებზე

(ს.ს.რ. კავშირის შექმნის 60 წლისათვის)

თეორია და პრაქტიკა

ეროვნულ-კოლონიალური საკითხი ეკუთვნის იმ ტაქტიკურ-სტრატეგიულ „სიახლეთა“ ერთობას, რომლებიც ლენინმა შეიტანა მარქსის სწავლებაში რევოლუციაზე. ლენინმა სრულიად გადააყირავა მარქსის ვაგება „მსოფლიო პროლეტარულ რევოლუციის სათავესა და მიმართებაზე, სწორედ გლახებისა და ეროვნულ მოძრაობების, როგორც პროლეტარიატის და რევოლუციის მოკავშირეების, გამოყენების კონკრეტის გამოუმუშავებთ.

მარქსის თეორიაში, როგორც ცნობილია, პროლეტარული რევოლუცია იწყება მოწინავე ინდუსტრიულ ქვეყნებში, სადაც მოსახლეობის უმრავლესობა პროლეტარულია; შემდეგ ის ედება სხვა ქვეყნებს და კოლონიებს. ლენინთან კი პირიქით: მსოფლიო რევოლუცია იწყება „იმპერიალიზმის სუსტ რაგონში“, რომელიც შეიძლება იყოს საშუალოდ განვითარებული კაპიტალისტური ქვეყანა, შემდეგ კოლონიებში და მხოლოდ შემდეგ, ის ვრცელდება დასავლეთის მოწინავე ქვეყნებზე. რაც შეეხება ეროვნულ განმათავისუფლებელ მოძრაობებს, ისინი „კლასებს გარედ“ არიან, ე.ი. ანტიმარქსისტულეზია. აი თვალსაჩინო მაგალითი: სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპაში—რუსეთში, ავსტრო-უნგრეთში და ოტომანთა იმპერიებში, იყვნენ, მარქ-



ისი მიხედვით, „რევოლუციონური“ და „რეაქციონური“ ხალხები. პოლონელებს და უნგრელებს, რომლებიც დამოუკიდებლობისათვის იბრძოდნენ, მარქსი თვლიდა „რევოლუციონურ“ ხალხებად, მაშინ, როცა ჩეხებს და სამხრეთის სლავებს(ბულგარელებს, იუგოსლაველებს), რომლებიც აგრეთვე იბრძოდნენ თავიანთ დამოუკიდებლობისათვის ოტომანთა იმპერიის წინააღმდეგ და სარგებლობდნენ რუსეთის დახმარებით, ის უწოდებდა „რეაქციულ ხალხებს“. (1) თუ შევედრებით უნდა, დღევანდელი საბჭოთა „მარქსისტული ისტორიკოსები ძალიან აქვეყნებენ შეფასებას რუსეთის ამ დახმარებას „მომძე სლავურ ხალხებისადმი“, მათი ეროვნული დამოუკიდებლობისათვის იბრძოლაში).

თუ მარქსისტების „პროლეტარული რევოლუცია“ გარდუვალია მადლგანვითარებულ კაპიტალიზმისთვის, ავტომატიური კრახის შედეგად, ლენინმა დღემდე ეს თეორია უტოპიად აღიარა, თვლიდა რა, რომ პროლეტარული რევოლუცია თავისთავად არასოდეს არ მოხდება, არამედ შეიძლება და საჭიროა ის მომზადდეს თუნდაც ისეთ ქვეყანაში როგორც რუსეთია, სადაც 1917 წელს ინდუსტრიული პროლეტარიატი მოსახლეობის 2,5% შეადგენდა და გლეხობა კი 80%, იმ პირობით, რომ: 1) კავშირი დამყარდებოდა პროლეტარიატსა და გლეხობას შორის( მარქსის მიხედვით, გლეხობა „რეაქციონური კლასია“. იხ. „კომუნისტური მანიფესტი.“), 2) რუსეთის იმპერიის სრულყოფილი ხალხები ჩაებმებოდა ამ კავშირში. („რევოლუცია ვერ გაიმარჯვებდა რუსეთში და კოლჩაკ-დენიკინი განადგურებულ იქნებოდნენ, რომ რუსეთის პროლეტარიატს არ ჰქონებოდა თანაგრძნობა და მხარდაჭერა ყოფილი რუსეთის დაჩაგრული ხალხების.“-ი. სტალინი. „ლენინიზმის საკითხები.“)

ამას წინ უნდა უსწრებდეს ისეთი პარტიის შექმნა, რომელსაც შეეძლება რევოლუციური გადატრიალების ხელოვნურად გამოწვევა ნებისმიერ ქვეყანაში, როგორც ამას დღეს აკეთებენ კრემლი. „მოგვეთხარებოთ რევოლუციონერების ორგანიზაცია-ჩვენ გადავებრუნებ რუსეთს!“ (გ. ლენინი. „რა ვაკეთოთ?“).

ნაციონალურ საკითხში ლენინური პროგრამის ძირითადი პუნქტი ამბობდა: „თვითგამორკვევის უფლება რუსეთის იმპერიის ყველა ხალხებს, სახელმწიფოებრივ გამოყოფამდე“, პროგრამა, რომელიც ლენინის მიერ გამოქვეყნებული იქნა რევოლუციის რამოდენიმე წლით ადრე. ლენინის მთავარეული რადიკალიზმის პოლიტიკაში მდგომარეობს სწორედ იმაში, რომ მას, როგორც სხვას არავის მის წინა, შეეძლო ტაქტიკა პროგრამად გაესაღებია, პროპაგანდა პოლიტიკად, ლოზუნგი ქვეშარტებად, აყენებდა რა ყველაფერ ამას მისი სტრატეგიული მიზნის სამსახურში-ძალაუფლების ხელში ჩაგდება. აი, ამ თვალთახედვით უდგებოდა ლენინი ნაციონალურ საკითხსაც, ის ერთადერთი პოლიტიკოსი იყო რევოლუციის წინა რუსეთში, რომელმაც გაითვალისწინა მრავალეროვან მრავალხალხეულ იმპერიის აქოლევების ქუსლი. გადმოისროლა რა ლოზუნგი: „თვითგამორკვევა გამოყოფამდე“, ლენინი აღწევდა ორ მიზანს: უახლოეს მიზანს-არარუსის ხალხების გულის მოგებას, მისი „პროლეტარული რევოლუციის“ მხარეზე და საბოლოო მიზანს,-ამ ხალხების დაკავებას მის მომავალ სოციალისტურ იმპერიის შემადგენლობაში, რომელიც ბაზა და საფუძველი გახდებოდა მსოფლიო რევოლუციისა და მსოფლიო ბატონობისა.

პროლეტარული ტაქტიკური დოკუმენტი, რომელსაც საბჭოთა რუსეთის შემადგენლობაში მუსულმანი ხალხები უნდა დაეკავებინა, იყო მოწოდება ლენინის და ეროვნებათა კომისარ სტალინის 1917 წლის 20 ნოემბრის „რუსეთის და აღმოსავლეთის მშრომელ მუსულმანებს!“ ის იწყებოდა შემდეგი სიტყვებით: „თქვენ, მშრომელ და დაჩაგრულ მუსულმანებს რუსეთისა და აღმოსავლეთისა: თათრებს ვოლგისა და ყირიმის, ციმბირისა და თურქესტანის ყირგიზებს და სარტებს, ამიერკავკასიის თურქებსა და თათრებს, მთის კავასიის ჩეჩნებს ჩვენ მოგმართავთ...“ მოწოდებაში ნათქვამი იყო: თქვენ დაჩაგრული იყავით ცარიზმისაგან, თქვენი რელიგია იღვენებოდა, თქვენს მეჩეთებს ანგრევდნენ, თქვენს ჩვევებს პატივს არ სცემდნენ, მაგრამ დღეიდან „თქვენი რწმენა, თქვენი ჩვევები, თქვენი ეროვნული და კულტურული კერები „თავისუფალი და ხელშეუხებელია.“ მოაწვევთ თქვენი ცხოვრება „თავისუფლად და დაუბრკოლებლად.“ „თქვენ გაქვთ ამაზე უფლება. თქვენ თვითონ უნდა ვახსოვთ თქვენი ქვეყნების პატრონები.“ („სსსრკ საგარეო პოლიტიკის მასალები.“ მოსკოვი 1957) მაგრამ მაშინ, როცა ამ მუსულმანმა ხალხებმა, ისევე როგორც უკრაინელებმა, ბელორუსებმა, ბალტიის ხალხებმა, 1918 წლის დასაწყისში ერთიერთმანეთზე მიყოლებით გამოაცხადეს მათი გამოსვლა ბოლშევიკურ რუსეთიდან და შექმნეს საკუთარი დამოუკიდებელი სახელმწიფო-

ფოები, ლენინმა წითელი არმიის ზიშტებით დააბრუნა ისინი საბჭოთა იმპერიაში. ამ ხალხების მთავრობების მითითებებზე, რომ მათ მხოლოდ ისარგებლეს თვითგამორკვევის უფლებით, რომელიც საჯაროდ იყო გამოცხადებული ბოლშევიკური პარტიის მიერ, ბოლშევიკი ლიდერები მათ პასუხობდნენ, რომ მათ მიერ აღიარებული დამოუკიდებლობა ეხება მშრომელ კლასებს და არა ერს საერთოდ.

ფინლიანდიას იღბალი მოუვიდა, ადვილად გამოძვრა ახალ, საბჭოთა იმპერიიდან, სამავიეროდ, პოლონეთს და ბალტიის ქვეყნებს ომი დასკირდათ მათი დამოუკიდებლობისთვის და გაუძღეს მხოლოდ იმის გამო, რომ ლენინს ძალა არ ეყო მათ ხელახლად დასამორჩილებლად. (აქ სტალინიმ, უკანასკნელი ომის წინ და განმავლობაში, გადააჭარბა ლენინის გეგმას, დაიმორჩილა არა მარტო ეს ქვეყნები, არამედ საბჭოთა იმპერიას აგრეთვე შეუერთა ნახევარი „ლუქსი“ ახალი, აღმოსავლეთი ევროპის ქვეყნა, რომლებიც ადრე არასოდეს არ შედიოდნენ რუსეთის იმპერიაში.)

**ფედერაციის პრინციპი და დამოუკიდებლობის ბუტაფორი**

სახელმწიფო წყობილების ფედერალურ პრინციპს ლენინი თვლიდა ბურჟუაზიული სახელმწიფოს წესად და ამიტომ კატეგორიულად უკუაგებდა მას, მის მომავალ უნივერსალურ სოციალისტურ სახელმწიფოდან. საბჭოთა თეორეტიკოსები ღუჟან ლენინის გამონათქვამებზე ამ საკითხის შესახებ. აი, ლენინის განცხადება ამის თაობაზე, პირველი მსოფლიო ომის დაწყებამდე: „მანამ სანამ სხვადასხვა ერები შეადგენენ ერთ სახელმწიფოს, მარქსისტები არავითარ შემთხვევაში არ იქადაგებენ არც ფედერაციულ პრინციპს, არც დეცენტრალიზაციას.“ (გ. ლენინი. „პოლონე სობრანე სორინი“ მოსკოვ 1961). მეორე ადვილად: „ძნელი არაა დაინახო, თუ რატომ ერის თვითგამორკვევის უფლებაში არ შეიძლება არც ფედერაციის და არც ავტონომიის გაგება... ფედერაციის უფლება საერთოდ უაზრობაა... ფედერალიზმის დაცვის დაყენება თავიანთ პროგრამაში მარქსისტებს არაფრით არ შეუძლიათ.“ (ლენინის იგივე წიგნი, ტ. 25, სტ. 306). ოთხი წლის შემდეგ კი ლენინმა ხელში ჩაიგდო ძალაუფლება და გამოაცხადა... რუსეთის საბჭოთა ხალხების ფედერაცია! ექვს ისეთივე კლასიკური მაგალითია ლენინის ტაქტიკური ცინიზმისა: ფორმის მსხვერპლად შეწირვა, რაბა შეაკავო, გააღრმავო და გააფართოვო მოტაცებული ხელისუფლება, რომელიც ჩაფიქრებული იყო როგორც „პროლეტარიატის დიქტატურა“, ე.ი. აბსოლუტური ცენტრალიზმი.

ლენინმა იცოდა, რასაც აკეთებდა: რსფსრ და სხვა საბჭოთა რესპუბლიკებს უხელმძღვანელებენ არა ბოლშევიკების მიერ გარყვნილ საბჭოებს, არამედ ერაიანი ბოლშევიკურ პარტია, რომლის არც პროგრამამ და არც წესდებამ არ იციან არც ფედერაცია და არც ავტონომია. და ეს სრულებით ბუნებრივია, რადგანაც სიტყვით ფედერალისტი და საკმით აბსოლუტური ცენტრალისტი, ლენინი მტერი იყო პატარა ერების დამოუკიდებლად არსებობისა. ლენინი იღვა არა მარტო იღვი ერების მიერ პატარა ერების პოლიტიკურად შთანთქმის პოზიციებზე, არამედ აგრეთვე მათი ბიოლოგიური შთანთქმის პოზიციებზეც, ასიმილაციის გზით, რაც რუსეთის პირობებში ნიშნავდა გარუსებას. როცა ლენინს უთითებდნენ, რომ მისი „ნაციონალური პოლიტიკა“—ასიმილაცია არარუს ხალხებისა რუსის ხალხში, სინამდვილეში არის ანტი-ეროვნული რუსიფიკატორული პოლიტიკა, ის პასუხობდა: „ასიმილაციის წინააღმდეგ შეიძლება ვაპყვიროდნენ მხოლოდ რეაქციული ებრაელი მეშჩანები, რომელთაც სურთ ისტორიის ჩარხის უფლამა დატრიალებო.“ (ლენინის იგივე წიგნი, ტ. 26, გვ. 126) მუშათ ამ რეაქციულ ებრაელ მეშჩანებს ეკუთვნოდა სტალინიც, რომელიც, თავის წიგნში „ნაციონალური საკითხი და ლენინიზმი“ წერდა: „თქვენთვის, რა თქმა უნდა, ცნობილია, რომ ასიმილაციის პოლიტიკა გამოირიცხებოდა მარქსიზმ-ლენინიზმის არსენალიდან როგორც ანტი-ხალხური, კონტრევოლუციური და დამლუბველი პოლიტიკა.“ (ი. სტალინი, „სოჩინიე“, მოსკვა 1949, ტ. 2, სტ. 347). სწორედ ამ „ანტი-ხალხურ, კონტრევოლუციურ“ „ლენინურ ნაციონალურ პოლიტიკას“, ყველაზე უფრო თანმიმდევრულად და უკანმოუხედავად ახორციელებდა სტალინი, ვახდა რა არა მარტო ლენინის მემკვიდრე, არამედ აგრეთვე საბჭოთა სახელმწიფოს ერთპიროვნული დიქტატორიც.

ჯერ კიდევ ღღვანდელი ფსევდო-ფედერაციის საფუძვლების ჩაყრის დროს გამოირკვა, რომ სტალინს სსრკ სახით საჭიროდ არ მიაჩნდა ლენინის მიერ წამოყენებული ბუტაფორული ფედერაციით შეხამება, თუმცა ორივეს მიზანი ერთი და იგივე იყო: აბსოლუტური, ტო-

ტალიტარული სახელმწიფოს შექმნა. ამიტომ სტალინი საერთოდ წინააღმდეგი იყო ახალი ფედერაციის შექმნის და მოთხოვნა უბრალოდ „სუვერენ საბჭოთა რესპუბლიკების“ (უკრაინა, ბელორუსია, ამიერკავკასია, რომელშიც შედიოდნენ აზერბაიჯანი, სომხეთი და საქართველო) შეყვანას რუსეთის ფედერაციულ საბჭოთა რესპუბლიკაში, ავტონომიური უფლებებით. მან კიდევაც გაიტანა ასეთი დადგენილება ცენტრალურ კომიტეტში, ლენინის ავადმყოფობის დროს. როცა ზოგიერთმა საბჭოთა რესპუბლიკამ (საქართველო, ბელორუსია) არ მიიღო სტალინური „ავტონომიის“ გეგმები, მაშინ ლენინმა დაინახა განხეთქილების საფრთხე და სტალინი ბრალი დადგა აჩქარებაში, რაზედაც სტალინიმა პირებით შეუტია: „ლენინი „ნაციონალურ ლიბერალიზმს“ ამჟღავნებდა.“ (ვ. ლენინ. ტ.45, სტ.558). როცა კამენევმა სტალინს აცნობა: „ილიჩი ომს აცხადებს დამოუკიდებლობის დასაცავად“, სტალინიმა უპასუხა: „შე ვფიქრობ, რომ ჩვენ მაგრად უნდა ვიღვეთ ლენინთან.“ (ვ. ი. ლენინ, პოდ რედაქციი პოსტოლავა, მოსკვა 1963. სტ.611.)

„ომი“ ლენინის, იყო „ომი“ არა თვით „დამოუკიდებლობის“ დაცვისათვის, არამედ „ომი“ ფორმისათვის, რომელიც შექმნიდა წარმოდგენას თანასწორუფლებიან „სუვერენულ საბჭოთა რესპუბლიკებისას.“ სინამდვილეში კი აი რა იყო ლენინის ყველაზე დიდი მოთხოვნილება „დამოუკიდებლობის“ დასაცავად: „ს.ს.რ.კ.-ს ახალი ფედერაციის სათავეში უნდა მდგარიყო ცაკი და იქ მორიგეობით უნდა ეთავმჯდომარებინა რუსს, უკრაინელს, ბელორუსს, ქართველს და ა. შ. აბსოლუტურად.“ (ვ. ი. ლენინ, ტ.45, სტ.214). სტალინი სწრაფად მიხვდა, რომ ლენინი იბრძოდა მხოლოდ „დამოუკიდებლობის“ ბუტაფორისთვის და დათანხმდა სსრკ-ს შექმნაზე, მაგრამ ისეთზე, რომელიც თანხმობაში იქნებოდა ლენინის საბოლოო მიზანთან: ფედერაციული ფორმით, ტოტალიტარული შინაარსით.

1922 წლის 30 დეკემბრის დღე-სსრკ-ს შექმნის, საბჭოთა კავშირის ნაციონალურ რესპუბლიკების ისტორიაში შევიდა როგორც ისტორიული თარიღი მათი ხანმოკლე ნაციონალურ-კომუნისტური დამოუკიდებლობის დაკარგვის. ეს ნაციონალური კომუნისტური დამოუკიდებლობა მაშინ გამოიყურებოდა დაახლოებით ისე, როგორც დღეს გამოიყურება აღმოსავლეთი ევროპის სატელიტების დამოუკიდებლობა სსრკ-ს მიმართ. მისი მნიშვნელოვანი და დამახასიათებელი სახე იყო ის, რომ ნაციონალურ რესპუბლიკებს ხელმძღვანელობდნენ უშუალოდ და პირდაპირ მათივე ეროვნული კომუნისტები, რომლებსაც მოსკოვიდან ეძლეოდათ საერთო კომუნისტური დირექტივები. რაც სსრკ შეიქმნა, ამ რესპუბლიკების მართვა დაიწყეს უშუალოდ მოსკოვის მაღალი ჩინოვნიკებით.

თუ თქვენ ხელში აიღებთ სსრკ ყველა ფიქტიურ კონსტიტუციებს (1924 წლის, 1936 წლის და 1977 წლის კონსტიტუციებს) და მათ ერთმანეთს შეადარებთ, მათი შედარებითაც კი დაინახავთ, რომ კონსტიტუციიდან კონსტიტუციამდე ადგილი აქვს „საბჭოთა ფედერალიზმის“ და „ეროვნულ სუვერენიზმის“ თანმიმდევრობით ლევიდაციას და საბჭოთა პარტოკრატის გააბსოლუტურებას პირდაპირი თანაფარდობით ფორმასა და ტემპში. ეს კარგად ჩანს კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების მთავრობების ორგანოების კომპეტენციების შედარებით. 1924 წლის კონსტიტუციით სსრკ მთავრობის გამგებლობაში გადავსდა მხოლოდ ისეთი დარგები მმართველობისა, როგორც საგარეო საქმეები, თავდაცვა და კავშირებაშულობა. მოკავშირე რესპუბლიკების გამგებლობაში კი შედიოდნენ ისეთი სახელმწიფო მმართველობის დარგები, როგორებიცაა იუსტიცია, განათლება, მიწათმოქმედება, შინაგან საქმეთა („გ.პ.უ.“-ს გარდა), ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა. ამიტომ რესპუბლიკებში არსებობდნენ შესაბამისი რესპუბლიკური სახკომატები, რომლებიც არ ექვემდებარებოდნენ მოსკოვს. ამგვარად ამ დარგებშიც არსებობენ სსრკ-ს სამინისტროები, რომელთაც ეწოდებათ სსრკ-ს საკავშირო-რესპუბლიკური სამინისტროები.

თუ 1936 წლის კონსტიტუციაში სტალინი კიდევ საპიროდ თვლიდა ჩამოეთვალა კავშირის, საკავშირო-რესპუბლიკური და რესპუბლიკური სახალხო კომისარიატები, 1977 წლის კონსტიტუციაში ბრეჟნევმა საპიროდ აღარ ჩათვალა ასეთი ჩამოთვლის გაკეთება, რადგანაც სინამდვილეში ყველა სამინისტროები მოკავშირე რესპუბლიკების წარმოადგენენ საერთო საკავშირო სამინისტროებს. სამაგიეროდ ბრეჟნევმა თავის კონსტიტუციაში შეიტანა ისეთი სტატია, რომელიც ვერ გაბედა არამც თუ ლენინმა, არამედ თვით სტალინიმაც. ეს არის მეექვსე სტატია, რომელიც ამბობს: „საბჭოთა საზოგადოების ხელმძღვანელ და წარმმართველ ძალას, მისი პოლიტიკური სისტე-

მის, სახელმწიფოს და საზოგადოებრივი ორგანიზაციის გულს წარმოადგენს საბჭოთა კავშირის კონსტიტუციის პარტია. ("კონსტიტუცია სსსრ", მოსკვა 1977, სტრ. 8). ეს არის არსებითად მთელს ბრევენეის კონსტიტუციაში ერთ-ერთი სტატია, რომელიც სსრკ-ს ნამდვილმა ხელისუფლებამ ნახა თავისი ზუსტი იურიდიული გამაგრება-სსრკ კავშირში არასოდეს არ ყოფილა დემოკრატია, მუდამ იყო და დარჩა პარტიკრატია.

ბრევენეის კონსტიტუციის შემდეგ მიღებული მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკების კონსტიტუციები, მისი მხოლოდ ასლები გამოდგნენ, ოღონდ მოსკოვიდან გამომავალი კონსტიტუციები აკლდთ ერთი უმნიშვნელოვანესი სტატია, რომელიც იყო ლენინის და სტალინის "კონსტიტუციებში" და რომელთათვისაც რუსული ენის გვერდით, ადგილს ერის ენა წარმოადგენდა ამ რესპუბლიკის სახელმწიფო ენას. საქართველოს და აზერბაიჯანის ეროვნულ ინტელიგენციასა წრეების მღვდვარებამ კრემლი აიძულა დათანხმებულიყო მის ჩამატებაზე, მაგრამ საქმით სახელმწიფო ენად იყო და რჩება რუსული ენა.

### მეთოდები უცვლელია

სტალინის ეპოქაში „ლენინური ეროვნული პოლიტიკა“ იყო, საბჭოურად რომ გამოვთქვათ, უმაღლეს საფეხურზე აყვანილი და შესაბამისად იწოდებოდა „ლენინურ-სტალინურ ეროვნულ პოლიტიკად“. სტალინის „სიახლე“ გამოიხატებოდა ისეთ ელემენტებში, როგორებიცაა: არამუყაით ხალხების ხელოვნურად დამშვეით გააქტიურება, ეთნიური გენოციდი, როგორც მეთოდი ურჩობა მოსასპობად, სახელმწიფო ანტისემიტობაში, სიონიზმის წინააღმდეგ ბრძოლის ნიღაბებში, როგორც სულის მოსათქმელი მეთოდი. პირველი მეთოდის მსხვერპლი კარგად ცნობილია უკრაინაში 1931 - 32 წლებში, სადაც შიმშილისაგან დაიხოცნ 6 მილიონამდე ადამიანი, მაგრამ ნაკლებად გინმესთვის ცნობილია, რომ იმავე პერიოდში საბჭოთა მთავრობამ შუაზაისასა და ყაზახისტანში მოაწყო ხელოვნური შიმშილი. ამის შესახებ წერდა საბჭოთა მაღალი თანამდებობის ყოფილი მოხელე ლევ ვასილევსკი წიგნში: „საბჭოთა იმპერიალიზმი“ (იზ. ჩეხოვა, ნიუ-იორკ): „სამსახურში დაწინაურება მივიღე და, როგორც საფინანსო განყოფილების უფროსი გადავსახლდი ტაშკენტში... ქუჩებში დახეტიალობენ დამშუული დედები, ხელში ბავშვებით და მუდარით იშვერენ ხალხებს სამათხოვროდ. ცხედრები, გაუთავებელი ცხედრების გორები, რომლებსაც, როგორც შეშას, ყრიან სატვირთო მანქანებზე და ცლიან სანაგვეებზე, სადაც მარხავენ საერთო ორმოებში ავად თუ კარგად. შიმშილი გადარჩენილი ძაღლები თხრიან ამ ორმოებს და ჩხუბობენ ნადავლზე. არა ერთხელ მინახავს ეს საზარელი სატვირთო მანქანები-სიკვდილის კატაფალკები.“

ყველაზე სასტიკი ხასიათი მიიღო საბჭოთა კავშირის პატარა ერების გენოციდმა. ვოლგის გერმანელები, ყირიზის თათრები, კალმიკები, ჩეჩნები, ინგუშები, ბალყარელები, ყარაჩაელები მილიანად იქნენ გადასახლებული თურქეთის ქვიშიანებში და მათი „ატონომიები“ გაუქმებული. ეს რომ საერთო პოლიტიკას შეადგენდა და არა „კულტის“ თვითნებობას, მოწმობს ის, რომ ორი პირველი ხალხი დღემდე არ დაუბრუნებიათ მათ ოდინდელ სამშობლოში. (აღწერილობითი იხ. ა. ნეკრჩ, „ნაკაზანნიე ნაროდი“, „ზრონიკა“ ნიუ-იორკ. 1978.) რამდენი მსხვერპლი განიცადეს საერთოდ ამ გადასახლებულმა ხალხებმა ზუსტად ცნობილი არ არის, მაგრამ თუ იმ ოფიციალური მიმართვის მიხედვით ვიმჯღლებთ, რომელიც ყირიზის თათრებსა ხალხმა გააზავნა ოქტომბრის 60 წლისთავთან დაკავშირებით სსრკ პოლიტიბუროს და უმაღლეს საბჭოს სახელზე, ეს მსხვერპლი ძალიან დიდი უნდა იყოს. იქ ნათქვამია: პირველ წელიწადნახევარში „განსაკუთრებულ რეჟიმის“ კლანტებში დაიღუპა-ამ ხალხის აღწერის მიხედვით, რომლის მასალები კომპარტიის ც. კომიტეტში ინახება, - მთელი მოსახლეობის 46,2%, მასიური სიკვდილით. ესაა დაახლოებით 200 ათასი ადამიანი, მათ შორის 100 ათასი ბავშვი.

ომის შემდეგ, როგორც ნაომარი ნადავლი სტალინმა „მაქსიზმ-ლენინიზმის“ არსენალში პიტლერისაგან მიიღო ანტისემიტობაში, მხოლოდ სტალინი არ იყო პიტლერივით პრიმიტიული ანტისემიტი, ის იყო დახვეწილი ანტისემიტი. თქვენ არ შეგიძლიათ კაცს, რომელიც ებრაელებს პოლიტიბუროში აჩერებს (კავანოვიჩი), უმაღლეს საბჭოში აჩერებს (ერენბურგი), სატკონროლის სათავეში აჩერებს (მეხლისი), სულ უბრალო ანტისემიტად გამოაცხადოთ. სტალინმა, როგორც ლენინმა, თავი გამოაცხადა ანტისიონისტად, და სპობდა ებრაელებს,

უწოდებდა რა მათ, ხან მლიქვნელებს, ხან სიონისტებს, ხან კოსმოპოლიტებს, თუმცა არც ერთ ამათთავანის კოთხება არ ითვლება კრიმინოლობად, არც ერთ ნებისმიერ ნორმალურ სახელმწიფოში. საბჭოთა მბრახველების დაგეგმილად გადასახლება საღდაც ციმბირის გეტოებში ჩაიშალა სტალინის სიკვდილის გამო.

მოკავშირე რესპუბლიკებზე თავის ხელმძღვანელობას მოსკოვი ახორციელებს „მეორე მდივნების ინსტიტუტის“ საშუალებით. უმაღლესი პარტაპარატის დაუწერებელ კანონთაქველად მოკავშირე რესპუბლიკებში ცენტრ კომიტეტის პირველი მდივანი ადგილობრივი ეროვნებიდანაა, მაგრამ ფაქტიურ მმართველად ითვლება ცენტრ კომიტეტის მეორე მდივანი, გამოავაგინელი მოსკოვიდან, როგორც საბჭ. კავ. ცენტრ კომიტეტის რწმუნებული. ის არა მარტო რესპუბლიკის კადრებს განაგებს, არამედ აგრეთვე მის „ინტერნაციონალიზმს“, ე.ი. რუსიფიკაციას. ადგილობრივი კომუნისტების უმნიშვნელო წინააღმდეგობაც კი ამ პოლიტიკისადმი ითვლება „ადგილობრივი ნაციონალიზმის“ ავთვისებიან გამოვლენად და ისჯება მკაცრად. როცა, მაგალითად, თურქმენისტანის ც.კ. პირველ მდივან ბაბაევს სურდა მის რესპუბლიკაში გაეტარებია სახ. აპარატის არა „ინტერნაციონალიზაცია“, არამედ „კორენიზაცია“ (მკვიდრი მოსახლეობის ენისა და კულტურის გავრცელება), ის დაუყოვნებლივ მოხსნეს თანამდებობიდან.

გარუსების პოლიტიკამ განსაკუთრებით მახინჯი სახე მიიღო სკოლებში. უკვე პირველი წლიდანვე დაიწყეს სკოლებში რუსული ენის სწავლება და, როცა აზერბაიჯანის ც.კ. პირველმა მდივანმა მაშინ, მუსტაფაევმა მოინდომა, რომ რუსი ბავშვები აზერბაიჯანულ სკოლებში დასწრებოდნენ აზერბაიჯანული ენის და კულტურის გაკეთილებს—ისიც მოხსნილი იქნა. შეადარეთ ყველაფერი ეს იმას, რაც ლენინმა და სტალინმა ჩააწერეს პარტიის მეთაურობაზე, 1921 წელს: „ცარიზმის პოლიტიკა მდგომარეობდა იმაში, რომ ჩაეკლათ მათ-წი(არარუს ერებში) ყოველგვარი სახელმწიფოებრივობის ჩანასახები, დაემახინჯებინათ მათი კულტურა, შეევიწროებინათ მათი ენა, გაერუსებინათ ისინი“,—ხოლო „პარტიის ამოცანა მდგომარეობს იმაში, რომ მათ დაეხმაროს: ა) განავითარონ და გაამაგრონ შინ საბჭოთა სახელმწიფო, ამ ხალხების ნაციონალურ ზნეჩვეულებების შესაბამისად, ბ) განავითარონ და განამტკიცონ შინ მშობლიურ ენაზე მოქმედი, ადმინისტრაცია, სამეურნეო და ხეილისუფლების ორგანოები, ადგილობრივი ადამიანების შემადგენლობით.“ (დესიატი სიუზდ რ.კ.პ.(ბ), სტენოგრაფიჩესკი ოტჩეტ, მოსკვა 1963, სტრ.603)

როცა კრემლმა მოინდომა შემოწმება რამდენიმე ათეული წლების განმავლობაში მის მიერ გამოზნულად და მეთოდურად წარმოებული „ინტერნაციონალიზაციის“—ერთი საბჭოთა ხალხის, საერთო რუსული ენით—პოლიტიკის შემოწმება, მისი შედეგები მისთვის აღმოჩნდნენ მეტად არა მანუგეშებელი: საბჭ. კავშირის 1979 წლის საყოველთაო აღწერის მიხედვით, რუსულ ენას თავის დედაენად თვლიდნენ (მოცემული ერების მთელ მოსახლეობასთან პროცენტებში გამოხატული) :

ერები	1979 წ.	ცვლილება 20 წელიწადში (1959 - 79)	ერები	1979 წ.	ცვლილება 20 წელიწადში (1959 - 79)
აზერბაიჯანელები	1,8	+ 0,6	ლიტველები	1,7	+ 0,5
სომხები	8,4	+ 0,1	მოლდავეები	6,0	+ 2,4
ბელორუსები	25,4	+ 10,1	ტაჯიკები	0,8	+ 0,3
ქართველები	1,7	+ 0,4	თურქმენები	1,0	+ 0,3
ყაზახები	2,0	+ 0,8	უზბეკები	0,6	+ 0,1
ყირგიზები	0,5	+ 0,2	უკრაინელები	17,1	+ 4,9
ლატვიელები	4,8	+ 0,2	ესტონელები	4,5	- 0,2

უკანასკნელ სამ წელიწადში ამ ცხრილში მნიშვნელოვანი ცვლილებები არ უნდა მომხდარიყო და საბჭოთა მეთოდი თუნდაც ენობრივი ასიმილაციისა ცხადად არ გამოდგა.

აბდურახმან ავტორხანოვი\*

\*პროფესორი აბდურახმან ავტორხანოვი ჩრდილო კავკასიელი. დაამთავრა მოსკოვის წითელი პროფესორის ინსტიტუტი, იყო დაპატიმრებული, დასავლეთში გადმოიხვეწა 1943 წ. ომის შემდეგ აქტიურად მიღწევაობს თავისუფლების ასპარეზზე, ავტორია რიგი საყურადღებო ნაშ-

რომების, საბჭოთა კავშირის შესახებ, რომელთა შორის განსაკუთრებით აღსანიშნავია: „ტენზოლოგია ვლასტი“ (1957), „პროისხოდენიე პარტოკრატი“ (1973), „სილა ი ბესნილიე ბრევენეა“ (1979).


\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

როგორ იწყება ანდროპოვის ერა?



იური ანდროპოვმა თავის გამოჩენა არ დააყოვნა. ბრევენეის დასაფლავების დღესვე მან აჩვენა, რომ ის იყო საბჭოთა სახელმწიფოს ხაზიანი. სამძიმრისთვის მისულ უცხო სახელმწიფოთა დელეგაციების მეთაურებს ზოგს ზარილოზობით ხელი ჩამოარა და თავი დაუტოვა, ზოგს ვულგი ჩაეკრა და ზოგსაც რუსული ჩვეულებით ტუჩებში აკოცა. ამის მნახველმა უცხოელმა ჟურნალისტებმა, თითქმის ერთხმად, დაასკვნეს, რომ ანდროპოვი კრემლის ერთადერთი გონიერი პიროვნებაა, რომელმაც იცის რასაც აკეთებოს და მისგან დიდ ცვლილებებს უნდა მოველოდეთ. თუ საერთაშორისო ასპარეზზე ჯერ კიდევ არ ჩანს ეს ცვლილებები, არც ავღანეთში, არც პოლონეთში და არც ვანიარადების საკითხებში, გარდა ძველი, ბრევენეის დროინდელი გაცეცილი პროპაგანდის კიდევ უფრო გააქტიურებისა, სამაგიეროდ საშინაო ფრონტზე უკვე შეიმჩნევა „მნიშვნელოვანი ცვლილებები.“

პირველყოლისა, ანდროპოვმა თავისი ერა დაიწყო ახალი კანონით „სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვრების შესახებ“, რომელიც რკინის ფარდას კიდევ უფრო ჰერმეტიკულად გამოანავს, რათა „კაპიტალისტურმა შხამმა არ მოწამლოს ჯანსაღი საბჭოთა საზოგადოება.“ ამ კანონის მეოთხე თავის მეექვსე მუხლი ამბობს:

„აღკვეთონ (იგულისხმება საბაჟოს მოხელეები) სსრ კავშირის სახელმწიფო საზღვარზე ბეჭდვითი სიტყვის ნაწარმოებების, კლიშეების, ხელნაწერების, დოკუმენტების, ვიდეოჩანაწერებისა და ბგერითი ჩანაწერების მასალების, ფოტოკინომასალების, სხვა ნაბეჭდი და სახვითი პროდუქციის გატარება, რომლებიც შეიცავენ ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური ინტერესების, სახელმწიფო უშიშროების, საზოგადოებრივი წესრიგის, მოსახლეობის ჯანმრთელობისა და ზნეობისათვის საშიაო ცნობებს.“ (კომუნისტი“ 26.11.1982 წ.)

სიამებოდ დახშო რა ქვეყანა გარედან, შემდეგ შიგნით მიუბრუნდა, ბრძანება აფრინა „მოკავშირე“ და „ავტონომიურ რესპუბლიკების, მხარეების და ოლქების პარტელმძღვანელებთან „სოციალისტური დისციპლინის ყოველნაირი განმტკიცების“ კამპანიის დასაწყებად... და მყისვე დაიწყო მასიური მიტინგები სოფლებში და ქალაქებში, წარმოებებში და დაწესებულებებში, სკოლებში და ცეხებში, რომლებზედაც გამოსული ორატორები კრებას მოუწოდებენ, რომ ფიზიკურად იყვნენ და დააბეზღონ ყველა, ვინც არღვევს საბჭოთა კანონიერებას და წესს.

ანდროპოვის შემდეგი „დიდი“ ღონისძიებაა რუსეთის ფ.ს.რ. მთავრობის ბრძანებულება, რომელიც 19 იანვარს გამოქვეყნდა ვაზ. „სოვეტსკაია როსია“-ში. ამ ბრძანებულების მიხედვით რუსეთში იქმნება „ხელახლად აღზრდის“ ცენტრები „პარაზიტებისთვის“. ნუ იფიქრებთ, ანდროპოვის პარაზიტი იყოს ტილი, რწყილი, ან ტკიპა! არა, საბჭოეთის პარაზიტია ლოთი, ნარკომანი და სხვა არა სოციალური საბჭოთა მოქალაქე, რომლის განსაზღვრა და დადგენა კავების საქმეა. „სოვეტსკაია როსიას“ ცნობით „ხელახლად აღზრდის ცენტრებში“ მოათავსებენ „პარაზიტებს“, სადაც მათ უწამლებენ და, სადაც მათ უნდა იმუშაონ. ამრიგად, საბჭოთა „გულაგების“ ფართობი კიდევ უფრო სავრძობად გაიზარდება.

და ბოლოს უნდა აღინიშნოს ანდროპოვის გულმოდგინება უმაღლესი ადმინისტრაციის გაცოცხებაში. ის არ დაკმაყოფილდა შინაგან საქმეთა მინისტრის, კავებებს თავმჯდომარის და ტრანსპორტის მინისტრის შეცვლით, უკანასკნელი ოფიციალური ცნობებით პროფკავშირების თავმჯდომარე და მდივანიც შეცვალა და ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარედაც ვინმე მარატ გრამოვი დანიშნა პავლოვის მაგივრად.

ჯერ-ჯერობით „მოკავშირე“ რესპუბლიკებისათვის ვერ მოუტლია, მაგრამ ალბათ არც მათ გაცოცხვას დაავიანებს.

პაპუნა ლუბაშვილი

## პ ა რ ი ზ ი ს ტ რ ი ბ უ ნ ა ლ ი ა ვ ლ ა ნ ე თ ი ს შ ე ს ა ხ ე ბ

საბჭოთა ოკუპაციის სამი წლისთავი ავღანელმა პარტიზანებმა თავისებურად აღნიშნეს. მათ თავდასხმა განახორციელეს საბჭოთა საელჩოზე ქაბულში, ქაბულის აეროპორტსა და ელექტროსადგურზე. ამ ბოლო ოპერაციის შედეგად, ავღანეთის დედაქალაქში წყვეტილია მოიცვა. ავღანელმა პარტიოტებმა ცეცხლი დაუშინეს აგრეთვე საბჭოთა სამხედრო-სპეცპერო ზაზას ბაგრაშში და სამხედრო აეროდრომს ჯეღალბადში.

ავღანეთის ოკუპაციის სამ წლისთავთან დაკავშირებით განცხადებებით გამოვიდნენ მთელი რიგი სახელმწიფოს მეთაურები და მოღვაწეები, მათ შორის, შეერთებული შტატების პრეზიდენტი რონალდ რეიგანი. მან მორალური მხარდაჭერა აღუთქვა დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის მებრძოლ ავღანელ ხალხს. განცხადებით გამოვიდა აგრეთვე ავღანეთის მეზობელი ქვეყნის-პაკისტანის პრეზიდენტი ზია-ულ-ხაკი. მას კვლავ აქვს იმედოვნება ავღანეთის პრობლემის პოლიტიკური გზით მოგვარების, იქიდან საბჭოთა ჯარების გაყვანის საფუძველზე. (აქვე გვსურს აღვნიშნოთ, რომ ამჟამად პაკისტანის ტერიტორიაზე დაახლოებით სამი მილიონი ლტოლვილი ავღანელი იმყოფება და ირანში დაახლოებით ერთი მილიონი.)

გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ანსამბლემ უკვე მეოთხედ მოითხოვა ავღანეთიდან უცხოეთის, -ე.ი. საბჭოთა-ყველა ჯარების გაყვანა.

„ხალხთა საერთაშორისო, ანუ რასელის ტრიბუნალი“, რომელიც ამჟამად პარიზში გაიმართა, მივიდა იმ დასკვნამდე, რომ საბჭოთა კავშირი ბარბაროსული მეთოდებით აწარმოებს ომს ავღანეთში. „ხალხთა ტრიბუნალის“ სხდომები მიმდინარეობდა პარიზის უნივერსიტეტში. სხდომის დარბაზის შესავალში ახალგაზრდა ქალი იღვა და პროკლამაციებს არიგებდა, რომლებშიც ეწერა: „მსოფლიოს ყველა ქალბო, ყური უფადე ჩვენს ხმას! ჩვენ შავი ჭირი დაგვატყდა თავს, მაგრამ მაინც არ ვნებდებით. ჩვენ იმ ავღანეთის ნაწილი ვართ, რომელსაც არ სურს ბოროტების დადება და, რომელიც მშვიდობის, დამოუკიდებლობისა და პროგრესისათვის იბრძვის. რუსებს სურთ ჩვენი დამონება. გთხოვთ დაგვეხმაროთ, რადგან ჩვენი ბრძოლა განუყოფელი ნაწილია იმ ბრძოლისა, რომელსაც აწარმოებს მთელი კაცობრიობა ომისა და უსამართლობის წინააღმდეგ.“

ეს პროკლამაცია დაწერილი იყო „ავღანეთის ქალთა რევოლუციური ასოციაციის“ მიერ, მაგრამ ალბათ ასეთივე სიტყვებით მიმართავდა მსოფლიოს უბრალო ავღანელი გლეხი ქალი ლალმორაი, რომელიც წინათ პროვინცია ლოგარის სოფელ დუბანდშიც ცხოვრობდა. მას 6. შვილი ჰყავდა. 1980 წელს მისი სოფელი საბჭოთა თვითმფრინავებმა დაბომბეს. როცა დაბომბვა შეწყდა, მან დაღუპულთა შორის ნახა მუღლისა და ორი შვილის გვამი. ყველაზე პატარა მისი ორი წლის ბიჭი უგზოუყვლოდ დაიკარგა. ლალმორამ იგი ვერც ცოცხლებსა და ვერც მკვდრებში ვერ იპოვნა. მთელი დამის განმავლობაში იგი საფლავებს თხრიდა და მისი საყვარელი ადამიანების გვამების დასაფლავების შემდეგ, გადარჩენილი სამი შვილი სოფლიდან წაიყვანა. მათ 16 დღე-ღამე იარეს მთებსა და ტყეებში, გზაში შიმშილსაც გაუძლეს და სიცოცხესაც და მხოლოდ მაშინ იგრძნეს თავი უხიავთ, როცა ავღანეთის საზღვარი გადაიარეს.

საბჭოელებს გმობს აგრეთვე სოფელ კურულას ხუთასი ქვრივი. ამ სოფლის ყველა მამაკაცი და ქაბუთი-დაახლოებით ათასი კაცი-დახვრიტეს. მაგრამ, ყველაზე შემაზრუნევი იყო ის, რაც საბჭოელებმა ჩაიდინეს ლოგარის პროვინციის სოფელ პიარგაბე-შანაში. 1982 წლის 13 სექტემბერს, ამ სოფლის თავზე გამოჩნდნენ საბჭოთა ვერტმფრენები, ხოლო სოფელს მოადგა ტანკები და ავტომობილები. სოფლის მამაკაცები დაიბლნენ, ორმოცი კაცი მთებში გაიხიზნა, ხოლო ასზე მეტმა სათადარიგო სიირიგაციო არხს შეაფარა თავი. ამ მიწისქვეშა ნაგებობასთან მისულმა საბჭოთა ჯარის მეთაურმა ყველას გამოისვლა უბრძანა, მაგრამ მისი ბრძანება არავინ არ შეასრულა. მაშინ შენადმეგმა პატარა კაშხლის მეშვეობით შეაჩერეს წყლის დინება და მის მაგივრად ნავთი გაუშვეს არხში. არხიდან მხოლოდ შავი კვამლი გამოვიდა, იქიდან ცოცხალი არავინ გამოსულა. როცა დამსჯელები წავიდნენ, არხიდან თოკებით ძლივს ამოიტანეს 105 დამწვარი გვამი. მხოლოდ 68 გვამი იცნეს, ბეტლების და სხვა ნივთების მეშვეობით. ცოცხლად დამწვართა შორის 14 ბავშვი იყო. ამ სოფელში მხოლოდ ხუთი ოჯახი დადარდა, დანარჩენებმა შორეულ პაკისტან-

ში ნახეს თავშესაფარი. ამ მიძიმე და ხანგრძლივ გზაზე, ბევრი ტუბერკულოზით დაავადდა, ბევრი კი გზაში მოკვდა.

„ხალხთა ტრიბუნაზე“ ჩვენებებით გამოვიდნენ საბჭოთა ჯარების მიერ წარმოებული სადამსჯელო ოპერაციების დამსწრე მოწმეები, მათ შორის იყო ერთი ხილით მოკვარც, აგრეთვე სოფლის თავი ჰაბიბ ურ რახმანი, რომლის ორი შვილი დამწვართა შორის იყო, და ერთი ახალგაზრდა მოლა-საიდელ მორტაზი, რომელიმაც დამწვარი გვამებს დაკრძალვის მაჰმადიანური წესი შეასრულა, შემდეგ სოფლის გლეხებიდან მეზობელთა რაზმში შეტანიკრიბა და მათთან ერთად მთებში გაიხიზნა.

რაგინდ ვულუბრაცილონი არ უნდა იყვნენ ავღანელები, მათ ვერავინ დაარწმუნებთ იმაში, რომ მათ ქვეყანაში წარმოებული სიკვდილი და ნგრევა, მათდამი ზრუნვითაა ნაკარნახები. საბჭოთა მთავრობის მიერ ავღანეთის ხელისუფლების სათავეში დაყენებული ბაბრაქ ქარმალის ხელმძღვანელობას, რომელსაც დასაყრდენი არა აქვს ხალხში, არ სურს იმ ფაქტის აღიარება, რომ სწორედ მათ ქვეყანაში დატრიალებული სიკვდილი და ნგრევა აიძულეხს ავღანელებს დასტოვონ სამშობლო და თავშესაფარი ეძიონ მეზობელ ქვეყნებში.

საერთაშორისო ტრიბუნალმა, რომელსაც თავმჯდომარეობდა მსოფლიოში ცნობილი მათემატიკოსი, საფრანგეთის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი, პროფესორი ლორან შვარცი და ნაფიცმსახულობდნენ ბელგიელი, ფრანგი, ალჟირელი ცნობილი იურისტები, მექსიკელი ეპისკოპოსი და ინდოელი ეკონომისტი, დაადგინეს და საჯაროდ გამოაცხადეს, რომ ავღანეთში საბჭოთა ჯარები წარმოებენ ომის წარმოების წესებებს წინასწარგანზრახულ დარღვევებს. ტრიბუნალზე წარმოდგენილი ზოგიერთი დამამტკიცებელი საბუთი იძლევა შთაბეჭდილებას, რომ ავღანეთში საბჭოთა ჯარები ეწვიან სისტემატიურ და წინასწარ გამიზნულ დარღვევებს ხალხისა და ინდივიდების ძირითად კანონებისას. ტრიბუნალმა დაგმო ავღანეთის ზოგიერთ დაუმორჩილებელ ადგილებიდან მოსახლეობის განზრახ აყრა და ამ მიზნით ბავშვებზე, ქალებზე და მოხუცებზე თავდასხმის, პიტუტყვის განადგურების და სხვა პრაქტიკა.

ზურაბ ნარსია

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

ზოგო რამ „შეერთებაზე“ რუსეთთან საქართველოსი

1783 წელს, 24 ივლისს ქ. გეორგიევსკში ხელი მოაწერეს ხელშეკრულებას საქართველოს რუსეთის მფარველობაში შესვლის თაობაზე. ამ ხელშეკრულებას „გეორგიევსკის ტრაქტატს“ უწოდებენ და ამჟამად ამაზღებენ დიდ დღესასწაულს ამ თარიღის აღსანიშნავად. არ იქნება ინტერესმოკლებული თვალი ვავადენეთ ჩვენი ისტორიის ამ მნიშვნელოვანი წყალგასასყარი თარიღისა და მოგლენის შეფასების ევოლუციას ქართულ საბჭოთა ისტორიოგრაფიასა და ოფიციალურ მითითებაში, ცხადია, რესპუბლიკის მეთაურის მიერ.

არ უნდა დავივიწყოთ, რომ „გეორგიევსკის ტრაქტატი“ დაიწყო ქართლ-კახეთის სამეფოსა და რუსეთის საიმპერატორო კარს შორის, და გამოთქმას „საქართველოს შესვლა რუსეთის მფარველობაში“ ისტორიული პერსპექტივის ხასიათი აქვს: სწორედ ქართლ-კახეთის მიერთებამ რუსეთთან განაპირობა აუცილებელი მიერთება საქართველოს სხვა ნაწილებისაც: იმერეთის, აფხაზეთის, სამეგრელოს, გურიის... ამიტომ, 1783 წლის საზეიმო აღნიშვნა, ამვე დროს, ამ აუცილებლობის სრული დასტურყოფაა, ანუ მისაღმებაა რუსეთის ქვეშევრდომობაში მთელი საქართველოს ჩათრევისადმი. ვნახთ, როგორ აფასებდა და აფასებს ამ თარიღს საბჭოთა ისტორიოგრაფია. მაგალითისათვის ავიღოთ სხვადასხვა წელს გამოშვებული სახელმძღვანელო, რადგანაც სახელმძღვანელოში დადგენილი თვალსაზრისია მოცემული, თუნდაც გარკვეული მითითებით.

1937 წელს გაზეთ „პრავდში“ გამოქვეყნებულ მითითებაში ხაზგასმული იყო: საქართველოს მიერ არჩევანი ერთმორწმუნე რუსეთისა იყო „ორ ბოროტებას შორის უმცირესი ბოროტების არჩევა“. მაშ, საყოველთაო ტერორის წლებში საქართველოს შეერთება რუსეთთან შეფასებული იყო როგორც ბოროტება, თუმცა სხვა ბოროტებასთან შედარებით „მცირე“-საფაქრებელია, ამ სინიკრეს ქმნიდა „ერთმორწმუნეობა.“ ორმოციანი წლების თაობა საქართველოს ისტორიის ამ თვალსაზრისის ისინსლზორცებდა „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელოდან, რომლის ავტორები იყვნენ ივ. ჯავახიშვილი, ნ. ბერძენიშვილი და ს. ჯანა-



შია. ეს წიგნი ახლა ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენს.

1960 წელს გამოცემულ „საქართველოს ისტორიის“ სახელმძღვანელო, რომლის ავტორები არიან ნ. ბერძენიშვილი, მესხია, რატიანი, კაჭარავა, მელქიშვილი, ღონღუა, დუმბაძე, — ამგვარად აფასებს „საქართველოს სამეფოს გაუქმებას“: „ამრიგად, ქართველი ხალხი ცარიზმის უღელქვეშ მოექცა. ცარიზმმა მას დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცნებებზე წაართვა და უცხო რეიმი თავს მოახვია. მიუხედავად ამისა, იმ ისტორიულ ვითარებაში ქართველ-კახეთის შერთავს პროგრესულ რუსეთთან დიდმნიშვნელოვანი ნაბიჯი იყო და წარმოადგენდა ერთადერთ გზას—ჩამორჩენილი, ავტრისული ფარქეთისა და ირანის ბატონობისაგან თავის დასაღწევად და ქართველი ხალხის ფიზიკური გადარღებისაგან დასაცავად...“

აქ განსაკუთრებულ ყურადღებას იქცევს ცარისტულ-იმპერიალისტური რუსეთის „პროგრესულ“ სახელმწიფოდ წარმოდგენა. „პროგრესულობის“ ნიშნები თუ არის „უცხო რეიუმის თავზე მოხვევა და დამოუკიდებელი სახელმწიფოებრივი ცხოვრების წარმოშობა“, მაშინ, არც გასაკვირია ევოლუტია „სიკრე“ ბოროტებიდან — დიდმნიშვნელოვან ნაბიჯსა და ერთადერთ გზამდეს. ამ სახელმძღვანელოთი იზრდებოდა 60-ანი წლების მოსწავლე ახალგაზრდობა. ეს სახელმძღვანელო მე-8 - 9-ე კლასებისათვის იყო ვანუთენილი ე.ი. 15 - 16 წლის ახალგაზრდებისათვის, რომლებსაც წამყვანი საბჭოთა ქართველი ისტორიკოსების აზრი ავტორიტეტის ძალით ესისხლხორციელოდა.

ახალი ნაბიჯი იქნა გადამღული „ყორანის გათვრებისა“ და თვითდაკინების ევოლუტიაში 1970 წელს გამოცემულ სახელმძღვანელოში: „საქართველოს ისტორია“ მე-7 - 10-ე კლასებისათვის, ავტორები: მესხია, გუჩუა. „ქართლ-კახეთის ყოფილი სამეფო რუსეთის იმპ. პროვინციად იქცა. ქართველი ხალხი ეროვნულ-კოლონიალური ჩაგვრის უღელქვეშ მოექცა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, საქართველოს რუსეთთან შეერთებას დიდი პროგრესული შედეგი ჰქონდა.“ აქ უკვე დამპყრობელის „პროგრესულობა“ თვით დაპყრობილისათვის პროგრესულობის გზაზე დადგომასთანაა გაიგივებული, თუმცა, ჯერ კიდევ, პროგრესულობის ხასიათი არ იცვლება: „ეროვნულ-კოლონიალური ჩაგვრის უღელი.“

ცხადია, თვითდაკინებისა და თვითგაპარტახების პირობებში მოსალოდნელი იყო ახალი ევოლუტითური ნაბიჯი, რევოლუტითური ნახტომიც კი, არც არ დააყოვნა და უკვე 1976 წელს, საქართველოს პირველი იდეოლოგისა და მზრძანებლის ე. შვეარდნაძის მოხსენებაში, ეს ნახტომი განხორციელდა. მწერალთა საკავშირო შეკრებაზე, თბილისში, 1976 წლის 10 დეკემბერს, მოხსენებებმა ამგვარი სახელმძღვანელო ნობათი მიართვა ქართველ ერს:

„წელს შესრულდა რუსეთთან საქართველოს ფაქტიური შეერთების 175 წელი. 1983 წელს შესრულდება 200 წელი, რაც რუსეთისა და საქართველოს მმართველებმა გააფორმეს პირველი სახელმწიფო ხელშეკრულება, რომელმაც გადაწყვიტა რუსეთთან საქართველოს ნებაყოფლობითი შეერთების ბედი... რუსეთთან საქართველოს შეერთების იუბილე ხალხთა ღენინური მეგობრობის დღესასწაულია...“ აქ უკვე მინიშნებულია ახალი ტენდენცია და გადებულია ხიდი ძველსა და ახალ „ნებაყოფლობით შეერთებას“ შორის, ე.ი. გაიგივებულია მეფის რუსეთისა და საბჭოთა რუსეთის მიერი მოსაზრება საქართველოს დამოუკიდებლობისა. ამ ტენდენციამ, მოსალოდნელია, თავისი ევოლუტია უნდა განიცადოს. მივყევთ მოხსენებას: „იმ სწავლულებმა და მოღვაწეებმა, რომლებმაც მეცნიერებაში დაწერეს ტერმინი „ნაკლები ბოროტება“, როგორც ჩანს, ვერც თუ უკეთესი ტერმინი, შესაფერისი სიტყვები გამოიხატეს რუსეთთან საქართველოს შეერთების ისტორიული აზრის ყველა ასპექტის გამოხატავად. საქმე ის არის, რომ ჩვენს მეგობრობას, რუსი და ქართველი ხალხის მეგობრობის ისტორიას, არ უხდება სიტყვა „ბოროტება“, როგორადაც არ უნდა შევაფარდოთ იგი. ბოროტება ბოროტებაა, დიდი იქნება იგი თუ მცირე... რუსეთთან საქართველოს შეერთების საკითხის გაშუქებას უნდა ჩამოვაცილოთ ე.წ. „ნაკლები ბოროტების“ ჩენჩო და იგი თავისი ცეკვლით უნდა აკურთხოს ისტორიამ, რომელიც დიალექტიკის კანონებით, ხატვანად რომ ვთქვათ, კეთილის აღმავალი დიალექტიკური სპირალით ვითარდება. ეს არის პრობლემისადმი ერთადერთი სწორი მიდგომა...“

როგორც ვხედავთ, „ცეცხლოვანმა სპირალმა“ ახალი ხვეული გააქეთა თვითდაკინების გზაზე და ახალ აღმართს შეუდგა: „რუს ხალხთან მეგობრობისა და ძმობის განმავლობაში, ქართველ ერს არათუ არ დაუტარგავს თავისი კულტურა, პირიქით, რევოლუტითური ნახტომი გააკეთა ფეოდალური კულტურიდან ქართველი ხალხის ფორმით ეროვნულ და შინაარსით სოციალისტურ, ახალ აყვადებულ კულტურამდე...“

სპირალის ამ ხვეულმა ახალი ნათელი მოჰფინა ჩვენს ისტორიას: თუ ეროვნული კულტურა „ამხტარია“ ფეოდალურიდან სოციალისტურში, ცხადია, მას გამოტოვებული უნდა ჰქონდეს ბურჟუაზიულ-კაპიტალისტური“ ფორმა, რომლის წიაღში პროლეტარიატი უნდა შექმნილიყო, ის პროლეტარიატი, რომლის ფიქტურ არსებობასაც ეყრდნობა საქართველოს დაპყრობა საბჭოთა რუსეთის მიერ. მომხსენებელმა თავადაც კარგად უწყის ისტორიის ფაქტები, თუმცა ამ ფაქტებს ალბათობას უპირისპირებს და ამ სააღბათო რეალობით ამკვიდრებს რუსი-ფეოდატურულ ტენდენციას: „მეფის რუსეთი მართლაც „ხალხთა საპყრობელი“ იყო, ცხადია, —საერთაშორისო უნდადრამი, რომანოვების ტახტი კი სოციალური და ეროვნული ჩაგვრის, მათ შორის თვით რუსი ხალხის, ჩაგვრის იარაღი. მაგრამ ეს საკითხის მხოლოდ ერთი მხარეა, თანაც სრულიად არა მთავარი მხარე, როცა საქმე ეხება რუსეთთან საქ—ს შეერთების ისტორიას. ბრძენი არიან ისინი, ვინც რუსეთთან საქ—ს შეერთების ფაქტში, მხოლოდ ქართული სახელმწიფოებრიობის დაკარგვას ხედავენ, მაგრამ ვერ ხედავენ, რომ რუსი ხალხის დახმარებით ქართველი ხალხის ახალი, აჩრდილი და არნახული სახელმწიფოებრიობა შეიქმნა. ის, ვინც ხედავს ცარიზმის მიერ ქართული ენისა და კულტურის ჩაგვრას, მაგრამ ვერ ხედავს, რომ ეს ენა და კულტურა საერთოდ შეიძლება და დაღუპულიყო რუსეთთან საქართველოს შეერთება რომ არა, ან ბრძაა, ან ხალხთა მეგობრობის მტერი. ის, ვინც მეფის ორთავიანი არწივის მიღმა ვერ ხედავს ისტორიის ნამდვილ არწივს—დიდ რუს ხალხს, იგი ან ბრძაა, ან ჩვენი ხალხების მეგობრობის მტერი, ჩვენ დახმარების ხელი გამოგვიწოდა რუსეთმა, დიდმა რუსმა ხალხმა...“

ამ კულმინაციურ წერტილში იდეოლოგიურმა ცეცხლოვანმა სპირალმა კიდევ ერთი რევოლუციური ნახტომი გააკეთა და თვალშეუდგამ სიმაღლეებს მისწვდა:

„მთავარი და განმსაზღვრელი ფაქტორი, რითაც ქართველებს, ისევე როგორც ყველა სხვა ხალხს, რომლებიც ცნობილი ალტერნატივის წინაშე დადგნენ, რუსი ხალხი იზიდავდა, უნდა ვეძიოთ მის ბუნებასა და ხასიათში, რომელიც მრავალი საუკუნის განმავლობაში ყალიბდებოდა... რუსი ხალხისათვის, მისი სულიერი არსისათვის დამახასიათებელია სოციალური სამართლიანობის გამახვილებული გრძნობა... რუს ხალხს ეროვნული თავისუფლების, ეროვნული სამართლიანობის მეტად გამახვილებული გრძნობა აქვს... რუსი ხალხი ოდითგანვე იყო მრავალრიცხოვანი, ძლიერი, გენიალური და დიდბუნებოვანი...“

აქ, თვითდაკინებში მგზნებარე სპირალს ცეცხლი მოეოდ და მის ალში ჩაიფრებდა ქართული ისტორიის ტრადიციული ფურცლები: მეცხრამეტე საუკუნის სისხლის წვიმები ქართველ მამულშივილთა თავზე, —ქართული მიწის გოჯიც არაა დარჩენილი მოურწყავი ამ სისხლით მეცხრამეტე და მეოცე საუკუნეებში. და, იწადება კითხვა: რატომ? რა მიზნით? რას ეწირება ჩვენი ისტორია? რა საზღაურს ვიღებთ თვითდაკინებითა და დამპყრობელის იმგვარი განდიდებით, რომ თვითონაც კი უკვირს? ქართველებს მტერს არასოდეს არ ავიწყებდნენ, მაგრამ არც არასოდეს აკინებდნენ თავის თავს ისე, რომ მტრებშიდაც კი ზოზლი გამოეწვიათ. სიურრეალისტური ცინიზმის საზღვარზე მოცემული ეს მითითება ქართული ისტორიის უსაშინეესი პერიოდის ინტერპრეტაციისა ადვილად იქცევა ზნეობრივ ლახვარად ნებადმოშვებული ერისათვის. ამას კი ისტორია არავის აპატიებს, ის ისტორია, რომელიც იდეოლოგიური დიალექტიკის ცეცხლოვანი სპირალით კი არ წარამართება, არამედ იმგვარი შინაგანი კანონებით, რომელთა ამოცნობას აღმაშენებლური სიბრძნე სჭირდება და არა გამაპარტახებელი პატივმოყვარეობა.

თითქმისდა ამით უნდა ამოწურულიყო „ჩრდილოეთიდან ამოსული მზის“ დამაბრმავებელი ელვარება, მაგრამ ამ მითითებებმა ვერ მოასწრეს საქ—ს ისტორიის სახელმძღვანელოებში დაბუღება, რომ ახალ ვითარებაში კვლავ გაისმა „მგზნებარე სპირალის“ აღმოებულნი ხმა: **1982 წლის 21 დეკემბრის საქ—ს მმართველის სიტყვაში ვკითხულობთ:**

„ორი სამყარო,—ორი პოლუსი, იქ—ამერიკულ აბორიგენთა და ახალმოშენთა ბედი, აქ—ქართველთა, აფხაზთა, ოსთა და სხვათა მაგალითი.(ტაში) იქნებ ჩვენმა კრიტიკოსებმა არ იცინან, თუ რა კოლოსალურ ხარჯებს იღებს საბჭოთა ხელისუფლება თითოეული ერისა და ეროვნების იდეალური თვითგამოხატვისათვის? არა, იციან! მაგრამ არ სურთ აღიარონ სხვა რამე: როცა საქმე ეხება ეროვნულ ფენომენს—ენას, კულტურას, ხალხის სულს, კომუნისტები ამას ფულთ როდი ანგარიშობენ. ეს ღირებულებანი ყოველგვარ კაპიტალზე ძვირფასია.“

მშვენიერი მისვლაა აღმოებულნი სპირალის ახალ ხვეულთან: ერთერთი უძველესი ერისა და კულტურის გააგივება ამერიკულ აბორიგენებსა და ახალმოშენებთან. ცხადია, აბორიგენ-

ნთა მიმართ ვერას ვიტყვით თავისთავად, მაგრამ ახალმოშენენი და აბორიგენები სრულიად განსხვავებული, არაეროვნული კატეგორიები და მათთან ერისა თუ ეროვნების ბედის შედარება, თვითდაცინების ის საფეხურია, რომლის იქით ისტორიის ამომბუჯავი სპირალის ალი გიზგიზებს. და სწორედ აქ ისახება ძალა ახალი ნახტომისათვის, ახალი რევოლუციური თვალსაზრისისათვის, რომლის ბადალი არც ერთი ერის, რომელსაც ცოდნავე მზინც შეუქნია თავისი თავი, ისტორია არ იცის:

„როცა თვალს ავლებს ჩვენს მრავალტანჯულ ისტორიას, ყოველ ქართულს ებაღბა ვითვთა: როგორ გადავრჩით? გადავრჩით იმიტომ, რომ დიდ რუს ხალხთან ერთად ვიყავით. გაისად აღვნიშნავთ რუსეთთან დამოყვრების სახელოვან ორას წლისთავს. რა ძალა იზიდავდა ქართველებს ჩრდილოელ მეზობლებთან ძმობისაკენ? იმედი, რომ თავს დააღწევდნენ ფიზიკურ და სულიერ განადგურებას? დიან, მაგრამ არა მარტო ეს! მათვარი, რაც საქართველოს რუსეთისაკენ იზიდავდა—ეს იყო თვით რუსი ხალხის ბუნება; მისი უნივერსალური ნიჭი, როგორც თვით ლამონოსოვი; მისი ელვარე ტალანტი, როგორც თვით პუშკინი; მისი სინდისი, ზნეობრივი სიბრძნე, როგორც ტოლსტოი; მისი თავდადება, მზადყოფნა გაწიროს სიცოცხლე სოციალური სამართლიანობისათვის—ყოველივე ის, რაც მოიტანეს დეკაბრისტებმა, რევოლუციონერმა დემოკრატებმა და საბოლოო ანგარიშით—ბოლშევიკებმა—ლენინელებმა; მისი შორსმჭვრეტელობა და კლასობრივი თვითშეგნება, მისი რევოლუციური სული, მისი გენია, დიდი ლენინის გენია.“

მხოლოდ ასეთ ხალხს, ბელად ხალხს, შეეძლო მოეხდინა სოციალისტური რევოლუცია, პარტიის ნებით შეექმნა ძმობისა და თანასწორუფლებიანობის უძველესი სამყარო.

ჩვენს ნათელ დღესასწაულზე, გეორგიევსკის ტრაქტატის ორასი წლისთავის წინ—წილად მზვდა უშაღლესი პატივი, დღევანდელი საქართველოს—ჩვენი კავშირის ერთ-ერთი დამაარსებელი რესპუბლიკის სახელით, ჩვენს გმირ წინაპართა სახელით, რომლებმაც საფუძველი ჩაუყარეს რუსთა და ქართველთა ძმობას, გულის სიღრმიდან ამომავალი მაღლობის სიტყვები ვუთხრა დიდ რუსეთს იმისათვის, რომ საქართველო გადაარჩინა, რომ იგი დღეს ყვავის და კანკაშებს საბჭოთა ხალხების თანავარსკვავედში.

პუშკინი გავიხსენოთ და ვთქვათ: მეგობრებო, მშვენიერია ჩვენი კავშირი!“

ამას უკვე ვერავითარი კომენტარი ვერ გამოაკეთებს და ისევე სჯობია გულმწუხარად გავიმეოროთ დიდი ილიას კითხვა, რომელსაც ყოველმა ჩვენგანმა უნდა გასცეს პასუხი, არა მარტო პირ უტყვად, არამედ ზნეობრივი საქმით: ყოველივე ამის შემდეგ, «**ა რ თ-ღ ა ქ ა რ თ ვ ე ლ ბ ი ?**»

ჯანრი კაშია

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

კ ა გ ე ბ ე ს თ ა რ ე შ ი თ ბ ი ლ ი ს ი ს უ ნ ი ვ ე რ ს ი ტ ე ტ შ ი

აკაკი ბაქრაძის დევნა—შევიწროება

„თ-ტ.“ მკითხველებმა იციან (№34, 1981 წ. ოქტომბერი, გვ.4), რომ თბილისში, 1981 წლის 23 მარტს ადგილი ჰქონდა საპროტესტო მანიფესტაციებს, რომლის მონაწილენი სხვათა შორის მოითხოვდნენ უნივერსიტეტიდან მოხსნილი პოპულარული პროფესორის აკაკი ბაქრაძის უკან დაბრუნებას და, რომ ე. შვეარდნაძე იძულებული იყო სტუდენტ-პროფესორთა მოთხოვნა დაეკმაყოფილებია. მაგრამ, როგორც დღეს ირკვევა, პროფ. ა. ბაქრაძის დევნა-შევიწროება ამით არ შეწყვეტილა. აკაკი ბაქრაძეს საქართველოში კარგად იცნობენ, როგორც ბრწყინვალე ლიტერატორს, თეატრისა და კინოხელოვნების იშვიათ მცოდნესა და კრიტიკოსს.

ჩვენ ხელში ჩაგვვიარდა ფრანგულ გაზეთ „ლე მონდ“-ისადმი მიწერილ ერთი წერილის ასლი, რომლიდანაც ირკვევა, რომ ა. ბაქრაძე იძულებული გახადეს უნივერსიტეტი მიეტოვებინა და დღეს, საზოგადოებიდან მოწყვეტილი, კარჩაკეტილი ცხოვრობს. მოგვყავს ამ წერილის სიტყვა-სიტყვით თარგმანი:

„**ბატონო რედაქტორო!**

საბჭოთა კავშირში მოგზაურობის დროს, ქ. თბილისში შემთხვევა მქონდა შეხვედრობდი ბ. ა. ბაქრაძეს, რომელსაც თქვენი გაზეთი იხსენიებდა 1981 წლის 7 აპრილის ნომერ-

ში. მე მქონდა პატივი გავცნობოდი ამ სახელგანთქმულ ლიტერატურის პროფესორსა და კრიტიკოსს, რომელიც ამჟამად მხოლოდ იმის გამო იმყოფება სრულ იზოლაციაში, რომ ის პატიოსანი კაცია. თქვენს გაზეთში მისი ხსენების გამო, მე საჭიროდ დავიჩინე გითხრათ, რომ, მას შემდეგ, რაც ის დააბრუნეს უნივერსიტეტში, მას ისეთი პირობები შეუქმნა ხელისუფლებამ მუშაობის, რომ მისთვის შეუძლებელი გახდა სწავლება: ერთი სტუდენტი, ერთი კაგებისტი, ერთი სტუდენტი, ერთი კაგებისტი... რამაც ის აიძულა უარი ეთქვა მასწავლებლობაზე; ამჟამად ის შინ იმყოფება განმარტებით, თითქმის არასოდეს გაართ არ გამოდის და ხელისუფლება ყველაფერს აკეთებს, რათა მას ყველა ჩამოაშოროს.

მე მქონდა შემთხვევა საფუძვლიანად მესაუბრა მასთან, მან კარგად იცის, თუ რა შედეგი მოყვება ამას, მაგრამ ის უარს ამბობს გაჩუმდეს, და ამიტომ გწერთ ამ სტრიქონებს მისი პირადი თხოვნით, რათა კეთილი ინებოთ და ადგილი დაუთმოთ თქვენს ჟურნალში გამოცხადის იმ კაცის შესახებ, რომელიც მიუხედავად წამლევადი პირობებისა, წელში არ იხრება, მის ქვეყანაში არსებული შევიწროებების წინაშე.

**მიანაწერი. 1981 წელში, ზოგიერთი მისი მეგობრის ხელშეწყობით: 2.000 ცალად, გამოიცა აკ. ბაქრაძის კრიტიკული ესეი: პილპილმოყრილი მადლი, რომელიც ჩვენ დასავლეთელებისათვის ნორმალურია, მაგრამ სსრ კავშირისათვის წარმოადგენს მთელი სისტემის მკაცრ კრიტიკას.**

**ზოგიერთი რამ აკაკი ბაქრაძეზე**

ა. ბაქრაძის „პილპილმოყრილი მადლი“-ს არ ვიცნობთ, ამიტომ მის ავტორიანობაზე არაფერი არ შეგვიძლია ვთქვათ. სამაგიეროდ, 1982 წ. „ლიტერატურულ საქართველო“-ში წავიკითხე მისი ორო სტატია: „ვინ არის პასუხისმგებელი“ (ლ.ს. 5.06.82.), „სოველი საიდუმლო“ (ლ.ს. 5.11.82.). პირველ წერილში ავტორი კითხვის ნიშნის ქვეშ სვამს 1981 წელს გამოცემულ „სოვეტები ენციკლოპედიჩესკი სლოვარ“-ის ზოგიერთ განმარტებას საქართველოს შესახებ. მაგალითად, მას აკვირებს საბჭოთა ენციკლოპედიაში ნათქვამი: „მე-6-10-ე საუკუნეებში ჩამოყალიბდა ძირითადად ქართული ეროვნებაო“, მაშინ, როცა ჩვენს მეზობელ სომხეთზე ნათქვამია: „ქ.წ. პირველი ათასწლეულის მეორე ნახევარში ძირითადად ჩამოყალიბდა სომხური ეროვნებაო“ და ა. ბაქრაძე სვამს კითხვას: „რაც ისტორიამ იცის, რა წყაროებიც დღემდე მოგვებოვება, იმათ თანახმად ეს ორი ხალხი სულ ერთმანეთის გვერდიგვერდ ცხოვრობს, კარის მეზობლები არიან. მერედა, როგორ მოხდა ის სასწაული, რომ ერთი ასე აღრე ჩამოყალიბდა ეროვნებად და მეორე-ასე გვიან?“ კრიტიკულ წერილის ავტორს ასევე არა საფუძვლიანად მოაჩნია საბჭ. ენციკლოპედიის განმარტება, თითქოს ბაგრატიონები სომხური დინასტია იყოს და სხვა ამ მეტად თავაზიანი კრიტიკული შემჩნევების შემდეგ, ა. ბაქრაძე ასკვნის: „აღბათ გასაგებია, რომ ჩემი შენიშვნა იმათ ეხება, ვინც საქართველოდან აწვდის ამ ცნობებს და არა „სლოვარ“-ის რედაქციას. ვინ აგზავნის ამ ცნობებს? უპირველესად რუსულ ლექსიკონებსა და ცნობარებში უნდა იყოს ყველაფერი ზუსტად და უტყუარად. ეს აუცილებელია, რამეთუ რუსული ენციკლოპედიური სიტყვარება საფუძველი უცხოურისა.“ ამ წერილზე მკაცრმა პასუხმა არ დაავიანა, 8 აგვისტოს გაზ. „კომუნის-



აკაკი ბაქრაძე შინ

ტში“ გამოქვეყნდა, საქართველოს კომკავშირის პრემიის ლაურეატის, ილია ანთელავას წერილი, რომლის სათაური „სენსაციებზე მონადირეში“ უფრო ბევრისმეტყველია, ვიდრე თვით წერილის შინაარსი. ანთელავა იძულებულია აღიაროს: „ამთავითვე უნდა ითქვას: რეპლიკის ავტორს( ბაქრაძეს ) ზოგი რამ ნამდვილად სწორად აქვს შენიშნული, ზუსტად მიუთითებს „ენციკლოპედიურ ცნობარში“ გაპარულ(ხაზი ჩვენია) ზოგიერთ, ხაზგასმულ და არასწორ ფორმულირებაზე, მაგრამ...“ და ანთელავას მაგარი ის არის, რომ ის ყველა ტექსტს თავზე, როგორც რეპლიკის ავტორს, ისე „ლიტერატურულ საკანონგებლოს“ შედნაქცის; პირველს ბრალს სდებს უკომპენტებობაში (ე.ი. რომ ბაქრაძე ხელობით ისტორიკოსი არ არის და მაშ არც უფლება არა აქვს საქართველოს ისტორიის საკითხების შესახებ ილაპარაკოს) და ეროვნულ ავითაუის მოწყობაში, ხოლო მეორეს, მოწოდებულ მასალების ბეჭდვისას -სიფრთხილის და წინდახედულების გამოუჩინლობაში.

მიუხედავად ანთელავას ირისხვის, 1982 წ. 5 ნომერის „ლიტერატურულმა საქართველომ“ კიდევ დაბეჭდა აკაკი ბაქრაძის ვრცელი და საინტერესო სტატია „ყოველი საიდუმლო“ რომლის მთლიანად გადმობეჭდვასაც ვფიქრობთ მომავალ ნომერში, ამიტომ მასზე ლაპარაკს აღარ გავაგრძელებთ, ვიტყვიტ მხოლოდ: ავტორს მეტად საინტერესო ორიგინალური აზრები აქვს გამოთქმული ქართული დამწერლობის სათაგეების და განსაკუთრებით ქრისტიანული სარწმუნოების შესახებ, ეროვნებებთან და ეროვნულ ენებთან მიმართებაში.

ორივე ზემოაღნიშნულ სტატიის შესწავლიდან შეგვიძლია შეუძლომად დავასკვნათ, რომ მათი ავტორი თავისთავადი მოაზროვნეა, ამიტომ გასაკვირი არ არის, რომ ის დევნას განიცდის იმ რეჟიმისაგან, რომელსაც არ შეუძლია მისგან დამოუკიდებელი აზროვნების ატანა, თუნდაც ისეთის, რომელიც მას არ ებრძვის.

#### პროფესორ წიბახაშვილის „ნიღაბი“

ჩვენს საამაყო უნივერსიტეტს კიდევ ერთი მოწამე გაუჩნდა გიორგი წიბახაშვილის სახით. 1982 წლის 9 თებერვლის გაზეთ „კომუნისტში“ დაიბეჭდა ვინმე ჯ. ნინიძის პამფლეტი სათაურით: „ნიღაბი.“ ერთი წუთითაც არ შეიძლება ეკვი შეგებაროთ, რომ ის კავებენია შეთხზული. მისი კითხვიდან ვგებულობთ, რომ გ. წიბახაშვილი კვილა სახ. უნივერსიტეტის პროფესორი ფილოლოგი, 60 წელს ვალაკილეული, მეცნიერებათა დოქტორი, ახალაზნარდობის ერთ-ერთი ყურნალის რედაქტორი, საყურადღებო ნაშრომებისა და წერილების ავტორი. და ასეთი კაცი „ნიღაბს“ ატარებდა თურმე, რაში გამოიხატება ეს „ნიღაბი“? თურმე წიბახაშვილი „ანონიმშიკი“ ყოფილა სათანადო ორგანოების მხილვამდე. რაშია საქმე? „ანონიმშიკობა“ ხომ მეტად მოწონებულია საბჭოთა ხელისუფალთაგან და წაქეზებულიც, მაშ, რას უწუნებს ნინიძე წიბახაშვილს? ამის გასაგებად საჭირო ვალაპარაკოთ თვით ნინიძე: „... მხოლოდ იგი (წიბახაშვილი) ისეთი გულუბრყვილო და ავადმყოფი მანიაკი არ გავგონოთ, თვის მეზობლებზე ან თანამშრომლებზე, რომ წერდეს ანონიმურ წერილებს. არა: წიბახაშვილი რის „პროფესორია“, ისე რომ დაწერიაშლდეს. მისი ანონიმური წერილები მართლაც რომ განსაკუთრებულია თავისი ღვარძლითა და ცინიზმით, ნიპილიზმით და ყოველივე იმის აბუჩად ავლებით, რაც დღეს კეთდება ჩვენში...“ „იგი მხოლოდ და მხოლოდ შეგ ფერს ამჩნევს ირგვლივ, მხოლოდ შევად ღებავს ჩვენს ცხოვრებას, მის ყველა მიღწევას, მის სიკეთეს...“

თვით ნინიძეც ვერ მალავს, რომ წიბახაშვილის ანონიმურ წერილებში აღნიშნული ნაკლოვანებები მართლაც არსებობენ სინამდვილეში, მაგრამ ის მას ჰქოლავს, რადგანაც წიბახაშვილის ანონიმურ წერილებში გატარებული იყო აზრი, რომ ხელისუფლების მიერ წარმოებული პოლიტიკით ეს ნაკლები არ გამოსწორდება, „ჩვეყანა არ ამენდება“, „ნურაფერ სიკეთეს ნუ ელით!“ „ვიღუპებით!“

ჩვენ ვეთანხმებით ნინიძეს იმაში, რომ ანონიმური წერილების წერა არ არის ვეკაცობა, მაგრამ ვეკითხებით მას: აქვთ საშუალება და შესაძლებლობა წიბახაშვილებს საჯაროდ ვეკაცურად გამოთქვან თავიანთი ეჭვები საბჭოთა მთავრობის მიერ წარმოებული ეროვნული, სოციალური, ან ეკონომიური პოლიტიკის შესახებ? რა თქმა უნდა, რომ არა, და ეს ყველაზე უკედ უწყის თვით ნინიძემ და მისმა „უშიშროების ორგანოებმა“. მაგრამ, ისინი ამას არ აღიარებენ და აბა, ბიჭია ვინმე, რომ ამის შესახებ მათ ვინმე სიტყვა გაუბედოსო.





საბჭოთა სამართალში მიცემულთ არ გააჩნიათ თავდაცვის ისეთი სრულყოფილი საშუალებები, რომლებიც უზრუნველყოფდნენ ქვეყნის ტერიტორიის დაცვას. მოსამართლეები უმთავრესად ეყრდნობიან გამოძიების დასკვნებს და პოლიციაში შეთითხნილ ცრუ მოწმეების ჩვენებებს. თუნდაც შერაბ კოსტავის მაგალითი საკმარისია ამ ფაქტის არსებობის საჩვენებლად. ათას სიკვდილით დასჯილნი, ერთი კი რომ იყოს ურდაბნაულო მსხვერპლი, სასამართლოს შეცდომით გამოწვეული, უდალნი და უპატივები ზონატება, რადგანაც მისი (შეცდომის) გამოსწორება არაფრით აღარ შეიძლება. ამიტომ სიკვდილით დასჯა საერთოდაც უსაფრთხო და გაუმართლებელი ზოროტებაა. რაც შეეხება საბჭოთა „სასამართლოების“ ისეთ პრაქტიკას, როცა კერძო ან სახელმწიფო ქონების მისაკუთრების ან მოტაცების გულისათვის ბრალდებულს სიკვდილით სჯიან, ეს ისეთი საზარელი ზოროტებაა, რომ სიტყვაც კი ვერ მოგვიწინავს მის დასაგმობად

გრიგოლ წერეთელი

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

**ს ა პ რ ო ტ ე ს ტ ო მ ა ნ ი ფ ე ს ტ ა ც ი ე ბ ი პ ა რ ი ზ შ ი**  
**სსრკ შექმნის 60 წლისთავის ზეიმიან დაკავშირებით**

საბჭოთა ხელისუფლებამ შთამბეჭდავი პრობაგანდა განახორციელა საფრანგეთში, სსრკ-ს შექმნის 60 წლისთავთან დაკავშირებით. თითქმის მთელი ორი თვის განმავლობაში—ნოემბერი, დეკემბერი—საფრანგეთ-სსრკ-ს საზოგადოების ფარგლებში, მთელ საფრანგეთში ეწყობოდა დიღები, დღეები, საღამოები, რომლებზედაც საბჭოების პატრიოტი ორატორები დამსწრეთ უხსნიდნენ საბჭოთა კავშირის ეკონომიურ, სოციალურ, ეროვნულ მიღწევებს და სამშვიდობო პოლიტიკას. ამ შეკრებათა მარალი კი გახლდათ საუკუნოვანი ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები.

აღბათ შემთხვევით არ იყო, რომ ამ „საზეიმო მასკარადზე“ საქართველოს საბჭოთა რესპუბლიკა განსაკუთრებით ფართოდ იყო წარმოდგენილი. ორი მომღერალთა გუნდის: „რუსთავი“, „ფაზისი“ და ერთი ცეკვის—სუხიშვილის ანსამბლის გარდა, ქართული საბჭოთა კინოფილმების ერთკვირეული ჩატარდა პარიზში, 21 ნოემბრიდან 1 დეკემბრამდე პარიზსა და პროვინციებში წარმოადგინეს ქართული მოდის მანეკენები და ერთი მზარეული, 13 - 20 დეკემბერს პარიზს ეწვია საბჭოთა საქართველოს ოფიციალური დელეგაცია, ხოლო დეკემბრის შუა რიცხვებში—ქადრაკის მსოფლიო დელოფალი მია ჩიბურდანიძე. ჩვენი სამშობლოდან წარმოგზავნილები(და არა ქართველი ხალხის მიერ) ცეკვავდნენ და მღეროდნენ, იმსახურებდნენ მაყურებელთა აღფრთოვანებულ ტაშს, მაშინ, როცა ჩვენი მპყრობელი რუსები ყველა დაფაზე გამარჯვებული გამოდიოდნენ. წყენოდით თუ გახარებოდით ამბავი? ასეთ დღეების წინ იდგენ საფრანგეთში მცხოვრები ქართველები.

მართალია, რომ საბჭოთა საქართველოდან წარმოგზავნილები შეურყევლად უჩვენებდნენ ფრანგებს უკვდავი საქართველოს სულსა და სახეს, რაც, რა თქმა უნდა, დადებითი და გასახარი იყო ჩვენთვის, მაგრამ ეს ჩვენება დაკავშირებული იყო ჩვენი და მათი სართო სამშობლოს დაპყრობის ავადმოსაგონარ წლისთავთან, რომელსაც საბჭოთა ხელისუფლება განთავისუფლებას არქმევს და ამ აზრს უნერგავს, როგორც ქართველებს ისე მსოფლიოს. თუ ჩვენი, გადამოგვეწილი ქართველები, თუნდაც სიჩუმით შეხედვებოდით საბჭოთა ამ მორთად ცბიერებას, ამას ფრანგებიც და სხვებიც ჩათვლიდნენ როგორც ჩვენს და ჩვენთან ერთად მთელი ქართველი ხალხის შეგუების ნიშანს, მის დაბმპყრობლებთან. არამც და არამც ასეთი შთაბეჭდილება არ უნდა შექმნილიყო თუნდაც იმიტომ, რომ ეს სინამდვილეს არ შეეფერება: ქართველი ხალხი, მისი დიდი უმრავლესობით, არ ურიგდება დაპყრობას და მათ შორის ბევრი ისინიც, რომლებიც იძულებული იყვნენ მონაწილეობა მიეღოთ საბჭოების ზეიმიში.

ჩვენი სათვისტომოს გამგეობის გადაწყვეტილებით, 14 ნოემბერს, პარიზში პლეიელის თეატრის წინ გაიმართა ქართველების პირველი საპროტესტო მანიფესტაცია. თეატრში სწორედ დიდი ვალა იყო, მოსაწვევი ბარათებით. მას ესწრებოდა საბჭოთა საქართველოს ოფიციალური დელეგაცია და მის პროგრამაში იყო ქართული ხალხური სიმღერების და ცეკვების ანსამბლი, მაგრამ ლეონიდ ბრეჟნევის სიკვდილმა ეს განზრახვა ჩაშალა.

პლეიელის წინ მოსული მანიფესტანტების უმრავლესობა საფრანგეთში დაბადებული ახალგაზრდობა იყო. მათ თან მოიტანეს პლაკატები, ფრანგულ და ქართულ წარწერებით, რომლე-



ზედაც იკითხებოდა: „ძირს საბჭოთა იმპერია, გაუმარჯოს თავისუფალ და დამოუკიდებელ საქართველოს!“ „შეწყვიტეთ პატრიოტების დენა!“ „გაანთავისუფლეთ შურაბ კონსტანტინე, ნიკოლოზ სამხარაძე და სხვა რწმენის პატიმრები!“ და სხვა... გამგეობის მოწოდებაში ნათქვამი იყო: „1982 წლის 14 ნოემბერს პლეილის დარბაზში ეწყობა საბჭოთა დღესასწაული, სსრკ-ს შექმნის 60 წლისთავის აღსანიშნავად, რომელშიც მონაწილეობას მიიღებს ქართული ფოლკლორის ანსამბლი. განა სპირობა ვახსენება, რომ საბჭოთა რეჟიმში ძალიან იქნა თავს მოხვეული საქართველოზე, რომლის დამოუკიდებლობაც ცნობილი იყო როგორც საბჭოთა რუსეთის, ისე მსოფლიოს უმრავლესი ქვეყნების მიერ, საფრანგეთის ჩათვლით.

პარადოქსული და სკანდალურია, რომ საქართველოს საუკუნოვანი ტრადიცია გამოყენებულია მის დამპყრობელთა სადიდებლად. საფრანგეთის ქართული საზოგადოება გიწვევთ ყველას, ვინც პატივს სცემთ ხალხთა უფლებას: იყოს თავისი თავის ბატონ-პატრონი და ადამიანის საყოველთაოდ აღიარებულ უფლებებს, რომლებიც ყოველდღიურად ფეხქვეშ ითელება საბჭოთა რეჟიმისაგან, მოვიდეს პლეილის დარბაზის წინ, 1982 წლის 14 ნოემბერს 20 საათზე, რათა მშვილათ და ღირსებით გამოვამუღავნოთ ჩვენე უკმაყოფილება.“

მეორე საპროტესტო მინიფესტაცია გაიმართა 21 დეკემბერს 19 - 21 საათებში ელისეს მინდვრების მოედანზე, სწორედ იმ დღეს, როცა კრემლი ანდროპოვი ზეიმობდა სსრკ შექმნის 60 წლისთავს. ამ დღეს ქართველებთან ერთად იყვნენ საბჭოთა კავშირის და აღმოსავლეთ ევროპის რუსეთის მიერ დაპყრობილი ხალხების წარმომადგენლებიც. ამ ხალხთა საურთიერთო კომისიის მოწოდებაში ნათქვამი იყო: „საბჭოთა რეჟიმში ზეიმობს სსრკ-ს შექმნის 60 წლისთავს. ამ შემთხვევისათვის საბჭოთა ოფიციალური პროპაგანდა საბჭოთა კავშირს წარმოადგენს როგორც უფლებრივად თანაბარ და თავისუფალ ხალხთა ბედნიერ ოჯახს; მაგრამ, სინამდვილე სრულიად სხვაა.

ოფიციალურად სსრკ შეიქმნა 1922 წლის 30 დეკემბერს: საბჭოთა რუსეთის, უკრაინის, ბელორუსიის და ამირკავკასიის(სომხეთი, აზერბაიჯანი, საქართველო) წარმომადგენლების მიერ. სინამდვილეში არც ერთი ამ ერთგვანი არ ყოფილა თანახმა სსრკ-ში გაერთიანების. ეს დამოუკიდებელი ქვეყნები 1918 - 1920 წლებში, უკვე დაპყრობილი იყვნენ ფიცილი არმიის მიერ 1922-ში და რუსეთის ბოლშევიკური პარტია ბატონობდა უკვე ყველგან.

2.2.15 დღევანდელად, რომლებმაც მონაწილეობა მიიღეს სსრკ შექმნაში, 2 092 (94,1%) იყო ამ პარტიის წევრი. ამ პარტიას(რუსი ბოლშევიკების) არავითარი უფლება არ ჰქონდა ელპარაკნა უკრაინის, ბელორუსიის და კავკასიის ხალხების სახელით, რომლებმაც ცხადად გამოამჟღავნეს თავიანთი გადაწყვეტილება: იყონ დამოუკიდებელი.

მაშასადამე, იმის შემდეგ, რაც დაირღვა ხალხთა უფლება: იყოს თავისი თავის პატრონი და დაიპყრო მეზობელი რესპუბლიკები, საბჭოთა რუსეთმა შექმნა საბჭოთა კავშირი. მან ეს ჩაიდინა, რათა უკეთ დამვალა მისი ტრადიციული იმპერიალიზმი, რადგანაც სსრკ სხვა არაფერია, თუ არა კოლონიალური იმპერია, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის დროს შეიერთა ბალტიის ქვეყნები(ლიტვა, ლატვია, ესტონეთი) და მის კონტროლს ქვეშ მოაქცია ყველა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნები(ბულგარეთი, უნგრეთი, პოლონეთი, რუმინეთი, ჩეხოსლოვაკია). სსრკ-ს შექმნა და არსებობა წარმოადგენს დიდ საშიშროებას როგორც დაპყრობილ ერებისათვის, ისე თავისუფალ მსოფლიოსათვის. იმ ერებისათვის, რომლებიც სსრკ შეადგენენ, ის წარმომადგენს მათ მოსლობას გარუსების პოლიტიკით, კოლონიზაციით, ეროვნული დევნით და ადამიანის უფლებების სრული უგულვებლადობით. მსოფლიოსათვის კი, ის საფრთხეა მსოფლიო წონასწორობისა და მშვიდობის.

ყველა ამ მოსახრებით, სსრკ, ეს უკანასკნელი კოლონიალური იმპერია, უნდა განკოლონიალურდეს, ე.ი. რესპუბლიკებმა, რომლებიც მას შეადგენენ, უნდა აღიდგინონ თავიანთი სუვერენობა და დამოუკიდებლობა, თანახმად ხალხთა უფლებისა: იყოს თავისი თავის პატრონი.“

ეროვნული დროშებით და პლაკატებით მოსული მრავალეროვანი მანიფესტაცია, მიუხედავად მკაცრი სიცივისა, ორი საათზე მეტი ხნის განმავლობაში საჯაროდ აცხადებდა თავის შეუთრებლობას იმ სსრკ-ს მიმართ, რომელმაც მათ-მათი სამშობლო წაართვა. დემონსტრატებს შორის იყვნენ ბევრი 80 - 90 წელს გადაცილებული, რომელთაც კარგათ ახსოვთ სსრკ-ს შექმნის ყველა ვერაგული და სისხლიანი მომენტი.

ს ა მ გ ლ ო ვ ი ა რ ო გ ა ნ ც ხ ა დ ე ბ ე ბ ი დ ა ნ ე კ რ ო ლ ო გ ე ბ ი

მ წ უ ხ ა რ ე ბ ი თ ვ ა უ წ ყ ე ბ თ ჩ ე ე ნ ს ს ა ზ ო გ ა დ ო ე ბ ა ს :

1982 წლის 5 ნოემბერს ამერიკის შეერთებულ შტატებში გარდაიცვალა ბატონი ირაკლი მენთეშაშვილი.

1982 წლის 3 დეკემბერს ამერიკის შ. შტატებში გარდაიცვალა ქალბატონი მარიამ ზალდასტანიშვილისა.

1982 წლის 8 დეკემბერს, პარიზში უეტრად გარდაიცვალა ქალბატონი რაშელ (რე) ზურაბიშვილისა, დაბადებული: მიუსო. 12 დეკემბერს დაიკრძალა ლევილის სასაფლაოზე.

1982 წლის 16. დეკემბერს ქ. მონპელიეში (საფრანგეთი) გარდაიცვალა ბატონი ირაკლი მკედლიშვილი და დაიკრძალა ადგილობრივად.

1983 წლის 23 იანვარს, ქ. კლერმონ-ფერანში (საფრანგეთი) გარდაიცვალა ბატონი გიორგი (გოგი) თოხაძე, საფრანგეთის სამხედრო ღირებულების ჯვრის და მეტრძოლის ჯვრის საპატიო ორდენოსანი. დასაფლავდა ადგილობრივად.

1983 წლის 24 იანვარს, ქ. ენევაში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ქალბატონი დიკა კედია, რომელიც მამამისის, მიხეილ კედიას, ფერფლთან ერთად, 28 იანვარს დაიკრძალა ლევილის სასაფლაოზე.

და სამძიმარს ვუცხადებთ მათ უნუგეშო კირისუფალთ.

\*\*\* \*\*

ძ ვ ი რ ფ ა ს მ ე გ ო ბ რ ი ს ხ ს ო ვ ნ ა ს

ირაკლი მკედლიშვილი დაიბადა 1906 წლის 19 იანვარს ქ. სიღნაღში. ის ეკუთვნოდა იმ თაობას, რომელიც ბავშვობიდან ახლად გამოსული შეხვედა სამშობლოს თავისუფლებას. სამწუხაროთ დიდხანს ვერ იარსება ჩვენი ქვეყნის ამ თავისუფლებამ, რუსეთის ტლანქმა არმიამ მას ეს მალე წაართვა. სწორედ იმ დღიდან იყო, რომ ეს ახალგაზრდობა, რომლებიც იმ დროს 17 - 18 წელს არ აღემატებოდნენ, უფროსებთან ერთად ჩაება სამშობლოს განთავისუფლების ბრძოლაში და ირაკლიც მათ რიგებში იყო. როგორც სხვები, ირაკლიც განიცდიდა ჩეკის უწყალო დევნას და ხშირადაც ყოფილა მათ მიერ სარდაფებში დამწყვდეული. საბოლოოდ კი აღარ მისცეს საშუალება არც სწავლის გაგრძელების და არც რაიმე საარსებო სამსახურის შოვნის. ამან ის აიძულა სამშობლო დაეტოვებინა და დიმიტრი სინჯიკაშვილთან ერთად საფრანგეთში შემოხიზნულიყო.

დასაწყისში მან ბევრი გაჭირვება და წვალება გადაიტანა ემიგრანტულ ცხოვრებაში, მაგრამ ირაკლი ბეჯითი, ენერგიული და გაუტეხავი იყო, მან დასძლია ყველა დამბრკოლება, საბოლოოდ დასახლდა ქ. მონპელიეში, სადაც მიიღო აგრონომიული განათლება, მექანიკის სპეციალობით. სწავლის დამთავრების თანავე მუშაობა დაიწყო „ზიმო ტექნიკის“ ლაბორატორიაში. ირაკლი საუკეთესო ღვინის სპეციალისტი გახდა, ბოლომდე ლაბორატორიის უფროსი იყო და ისე გაითქვა სახელი, რომ სამხრეთ საფრანგეთის რამდენიმე დეპარტამენტის ღვინის კოოპერატივები მისი კონტროლის ქვეშ იყვნენ.

ირაკლიმ დიდი სიყვარული და პატივისცემა დაიმსახურა პირად ცხოვრებაშიც, ნაცნობ-მგობრებსა და თანამემამულეთა შორის. ის თითქმის მუდმივ თანამჯდომარედ ითვლებოდა მონპელიეში მცხოვრებ ქართველ ლტოლვილების. ირაკლიმ მშვენიერი ოჯახი შექმნა, ჰყავდა სამი შვილი, რომლებსაც საუკეთესო განათლება მისცა და დაასახლკარა. ამის შემდეგ მას სამშობლოს გარდა სადარდებელი აღარაფერი ჰქონდა, მაგრამ ოთხი წლის წინად მეუღლე გამოეცალა. მის დარდს და განუჯურნებელ სენს ვედარ დარია ხელი და ასე დაკვაგუტ კიდევ ერთი ღირსეული პატრიოტი. მშვიდობით ძმო ირაკლი, მსუბუქი იყოს შენთვის საფრანგეთის მიწა.

იროლიონ ბეგიაშვილი

## ქალბატონ რეი ზურაბიშვილის ხსოვნას

1982 წლის 8 დეკემბერს ქალბატონი რეი ზურაბიშვილი სამუდამოდ განგვშორდა... მისმა უეცარმა გარდაცვალებამ უზომო მწუხარება გამოიწვია ჩვენს საზოგადოებაში საერთოდ და კერძოდ ჩვენს წმინდა წინას ეკლესიის სამარეულოში, რომელიც წინააღმდეგის ასე ერთგულად და კეთილშობილურად მოღვაწეობდა მრავალი წლების განმავლობაში. შეეუღლა რა აწ განსვენებულ არჩილ ზურაბიშვილს, ქალბატონმა რეიმ მთელი თავისი არსებით იწამა და შეეუღლა საქართველოსაც, ქართველ ერსაც, მისი ეკლესიით და მისი ადამი-ზნე-წეს-ჩვევებით. მან არა მარტო ღირსეული შვილები და შვილიშვილები აღუზარდა საქართველოს, არამედ ის აგრეთვე სისრულით განიცდიდა საქართველოს სულის ყოველ-მწუხარე თუ მზიარულ-აკორდს, იყო მისი მონაწილე და ზიარი.

ჩვენ ყველას გვიყვარდა, ვდავსებდით, პატვის ცეცემდით მისი გულის დიდებული თვისებების, მისი გრძნობების ქეშმარიტი ღირებულებების, მისი ადამიანებისა და კეთილი საქმეებისადმი გულთადადობის გამო, რომელთათვისაც მას შეეძლო მისი პიროვნების მსხვერპლად ხეწირვა.

დიდაც, მუდამ მღვდვარებით მრვიგონებთ ისეთ ქეშმარიტად დიდ ქალბატონს, როგორც რეი ზურაბიშვილი იყო და სამაგალითოდ დარჩება ჩვენში მისი ნათე ხსოვნა.

ეთერი შენგელია-წერეთლისა

\*\*\*

\*\*\*

\*\*\*

## გამოსამშვიდობებელი

სიტყვა წარმოთქმული მიხეილ ქავთარაძის მიერ, მამაშვილ მიხეილ და დიკა კედიას დასაფლავების დროს

ქალბატონებო და ბატონებო, მოგვხსენებთ, რომ ჩვენ ბედისაგან განვხივრებული ხალხი არ ვართ-არც ერთგულად და არც პიროვნულად და ამიტომ შეჩვეულნი ვართ ყოველგვარ სახის უბედურებას. ამის გამო, არც დღევანდელი ჩვენი აქ ყოფნის მიზეზი უნდა ყოფილიყო ჩვენთვის უჩვეულო და უნახავი რამ. და ეს მიუხედავად იმისა, რომ სიოცნის უღროოდ ჩაჭრობამ იმ არსებისა, რომელიც ჩვენ ყველას გვახსოვს ვით ტკბილმომომიარო ტკბილზე უტკბესი და ნაზი გოგონა დიკა, ყოველი ჩვენთაგანის გული მწარე ტკივილით შეკუმშა.

მაგრამ უჩვეულოა ის გარემოება, რომელიც ამ დაკრძალვას თან ახლავს,-როცა შვილმა თავის საუთარ დაკრძალვისათვის ისე იზრუნა, რომ მის ცხედართან ერთად, მისი მამის ნეშტიც იმავე სამარეს მიბარებულყო,-იმ სასაფლაოზე, სადაც მისი მამა, ბებია და სხვა თანამემამულენი ეგულებოდა, რომელთა მუხლებზე მას უთამაშნია. ჩვენს ძვირფასს დიკას კარგად უგრძნია, რომ მისი საქციელის მნიშვნელობა ბევრად სცილდება უბრალო მამაშვილურ სიყვარულიანდ გამომდინარე მოქმედებას. მან მარტო მამამისი კი არ დაკრძალა მასთან ერთად ამ სასაფლაოზე, არამედ მან ამით შესაფერი ბინა მიუჩინა იმ კაცს, რომლის საფლავი სხვაგან არ უნდა დარჩენილიყო.

მიხეილ კედიამ ისეთ საქმეში იმუშავა, რომელიც მარცხით დამთავრდა. მაგრამ, მარცხით არ დამთავრებულა მიხეილ კედიას მოღვაწეობა. იგი უცხო ქვეყნის ჩარჩოში მუშაობდა, რომ სხვის მიწაზე და უცხოთა განკარგულებაში მყოფს ქართული საქმე ეკეთებია. და ეს საქმე მან დიდი გონიერებით და ვაჟკაცობით აკეთა. ვინც მისი მუშაობის ხასიათს და დეტალებს იცნობს, მან იცის თუ როგორი თავდადება, ზომიერებით, თავმდაბლური სიჩუმით და ქართული საქმისადმი სამსახურის არც ერთ შემთხვევაში არ დავიწყებით, შესძლო მან უძნელესი საქმის მანამდე გაძლოა, ვიდრე შესაძლებელი და საჭირო იყო. და მხოლოდ საქმეში ჩახედულებმა იციან, რა ძნელი და საშიში იყო უმტიკინეულოდ და მინიმუმ მსხვერპლის გავლით ამ საქმეში დარჩენა და მისი ბოლომდე მიღვნა.

მიხეილ კედიას დეაქლის სიღრმე ჯერ ღირსეულად არ არის შეფასებული. ეს უმთავრესად იმის ბრალია, რომ საქმეს ბედნიერი ბოლო არ მოჰყვა, მაგრამ საქმის ბედნიერად დაბოლოება კი არ იყო მიხეილ კედიას მოვალეობა და როლი, არამედ მისი მოვალეობა იყო, რომ ამ საქმის მსვლელობის პროცესში ქართული საქმეც ისე ვაკეთებულყო, რომ ჩავარდნებს და უმიზნო მსხვერპლს ადგილი არ ჰქონოდა და ქართველს ქართველთათვის არაფერი ეგნო. ეს უდიდესი სირთულე და საშიშროება სძლია მიხეილ კედიამ მით, რომ

დიდი კაცის, დიდი ქართველის თვისებები აღმოაჩნდა და ღირსეულად გამოიყენა. დრო მი-  
 ვა, ამ მოვლენას შეისწავლიან, გამოიკვლევენ და, რომ მოვესწროთ იმ დროს, იქნებ გვე-  
 ლა გაკვირვებელი დავრჩეთ, თუ როგორ ღირსეულ ადგილს მიუჩენს მას ისტორია.

როგორც ქართველი და როგორც ერთი მისი თანამშრომელთაგანი, პატივისცემით ქედს  
 ვიხრი ღირსეული ქართველის ხსოვნის წინაშე.

ძვირფასო ვალა და ზურაბ! მაპატიეთ, რომ დიკას გამო მე ვერაფერს გეტყვით. მეც  
 მამა ვარ და ამ ტრაგედიას ისე განვიციდი თითქოს თქვენს ადგილზე ვიყო. და ამიტომ  
 ამაზე ლაპარაკი არ შემიძლია.

მიხილ ქვეთარაძე

\*\*\* \*\*

ჩ ვ ე ნ ი ფ ო ნ დ ი ( ფ რ ა ნ გ უ ლ ფ რ ა ნ კ ე ბ შ ი )

მანია ყაველაშვილი	200-	გიორგი ჯაყელი	180-
ტატიანა ქაქიაშვილი	100-	ელენე მაგალობლიშვილი	100-
სანდრო ფანჯულიძე	100-	ამირან ჩიტაძე	200-
ირაკლი ჯაფარიძე	100-	თამარ საბახტარიშვილი	200-
ლუბა აბდუშელიშვილი	500-	ანონიმი გ.ფ.რ.-იდან	300-
ლიდა ნასყიდაშვილი	100-	დომიტრი მახარაშვილი	612-
ქრისტეფორე იმანიშვილი	100-	იროდიონ ბეგიაშვილი	300-
მიშა გოგორიშვილი	300-	გერასიმე ბოლქვაძე	200-
გიორგი გორგიშელი	600-	დავით ვაშაძე	300-
მიშა გაფრინდაშვილი	200-	შოთა ბერეუიანი	100-
შალვა ცინცაძე	290-	ვანო გებრივილი	200-
ნიკო თოფურია	199-	ტიტიკო ჩხეიძე	139-
მართა სტურუა	50-	გრიგოლ წერეთელი	100-
ნიკოლა ანთაძე	100-		

ჯამი

5 870-

„პ.ს. შემოწირულება ირაკლი მენთეშაშვილის კეთილი ხსოვნისათვის.“

672-

ჯამი

6,542-

\*\*\* \*\*

შ ე მ ო ს ა ვ ა ლ - გ ა ს ა ვ ლ ი ს თ ა ნ ა ფ ა რ დ ო ბ ა

	შემოსავალი	გასავალი	აქტივი	პასივი
1982 მარტი №36	6.811-	5.906-		
„ ივნისი №37	6.568-	5.476-		
„ ოქტომბერი №38	6.486-	8.868-		

ჯამი

19.865-

20.250-

385-

1981 წლის ბოლოს, „თ.ტ.“ №36-ში გამოქვეყნებული პასიური ბალანსი უდრიდა 11.479  
 ფრანკს. თუ ამას 1982 წლის 385 ფრანკს დავუმატებთ, 9 წლის განმავლობაში ჩვენს  
 გამოცემის პასიური ბალანსი მიაღწევს სულ 11.864 ფრანკს.

თ.ტ. უღრმეს მადლობას სწირავს ყველას, ვინც ნებაყოფლობით თავს იბეგრავს და  
 მით მას არსებობის შესაძლებლობას აძლევს; ვიცით, რომ უმრავლესობა ღარიბი პენსი-  
 ონერია; ვიმედოვნებთ, რომ, ჩვენთან ერთად, დედა-სამშობლო მით უფრო მადლიერი  
 იქნება მათი, რამეთუ მხოლოდ სამშობლოს სიყვარულითაა ყველას მიერ თავდაუზოგავად  
 გაღებული მსხვერპლი.

\*\*\* \*\*

უადგილობის გამო, რიგი სტატიებისა და კორექსონდენციების გადაიდვა ან სრულიად მოი-  
 ხსნა. მოკლედ ვაცნობებთ: 9 იანვარს პარიზში, როგორც წარსულ წლებში, წარმატებით  
 ჩატარდა წმინდა ნინოს და შობის ხის დღე. 12 იანვარს შეიქმნა ერთობლივი კომისია,  
 რომელსაც დაევალა იზრუნოს, რათა ემიგრაციამ სათანადო პასუხი გასცეს კრემლის მორ-  
 იგ ფარსს, - „გეორგიევსკის ტრაქტატის“ 200 წლისთავის ზემისას, - ჩვენს სამშობლოში.